

ევროპაში უსაფრთხოების საზღვარსა და უსაფრთხოების
საზღვარს შორის რეგულაციების
შედეგითი ანალიზი

თბილისი

2017

კვლევა მომზადდა ნიდერლანდების სამეფოს საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით, პროექტის „კორუფციასთან ბრძოლა საჯარო შესყიდვების გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების ზრდის ხელშეწყობით“ ფარგლებში.

კვლევაზე პასუხისმგებელია საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და მისი შინაარსი არ გამოხატავს დონორის ოფიციალურ პოზიციას.

წინამდებარე ანალიზი მომზადდა კერძო კონსულტანტის, გია მეტრეველის, მიერ. ხელშეკრულების თანახმად ყველა შესაბამისი საავტორო უფლება გადაეცემა „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას“ და, აქედან გამომდინარე, დაუშვებელია აქ მოყვანილი მონაცემების კოპირება ან ნებისმიერი სხვა ფორმით გამოყენება საავტორო უფლებების მქონე პირის წერილობითი ნებართვის გარეშე.



Kingdom of the Netherlands

შინაარსი

აბსტრაქტი	3
I. ევროკავშირის დირექტივები	4
II. ეროვნული კანონმდებლობა	8
III. ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების შესყიდვების წესები.....	22
IV. გამოყენების სფერო.....	26
V. გამჭვირვალობა და კორუფციის პრევენციის მექანიზმები.....	30
VI. პრაქტიკის მიმოხილვა	37
დასკვნები და რეკომენდაციები.....	41

აბსტრაქტი

ბოლო პერიოდში სახელმწიფო შესყიდვები იქცა განხილვის საგნად ევროკავშირის ბევრ წევრ თუ არაწევრ სახელმწიფოში. ხშირად ეს საკითხები დაკავშირებულია „გადასახადების გადამხდელთა ფულის“ არარაციონალურ გამოყენებასთან, რაც საფუძველს უქმნის კორუფციის შესახებ ბრალდებებს.

იმდენად, რამდენადაც სახელმწიფო შესყიდვები ექცევა ევროკავშირის ექსკლუზიური იურისდიქციის ფარგლებში, აშკარა ანტიტრასტული მიზეზებიდან გამომდინარე, ევროპული კომისია აქტიურად მუშაობს ამ სფეროს განვითარების კუთხით. სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული ევროკავშირის რეგულაციები სწრაფად ყალიბდებოდა ბოლო ათი წლის განმავლობაში, რადგან წევრი სახელმწიფოები ცდილობენ სრულად უზრუნველყონ ძირითად თავისუფლებათა სათანადოდ განხორციელება საჯარო სამართლის ამ სფეროში. ბოლო პერიოდში ევროკავშირმა მიიღო ახალი დირექტივები, რომლებიც წევრ სახელმწიფოებს მოუწოდებს ამ დირექტივების თავიანთ ეროვნულ კანონმდებლობაში გადმოტანისკენ და მათი ეროვნული კანონმდებლობების შესაბამისობაში მოყვანისკენ.

აქედან გამომდინარე, წინამდებარე კვლევის მთავარი მიზანი არის არსებული რეგულაციების დადებითი და უარყოფითი მხარეების გამოვლენა როგორც ევროკავშირის დონეზე, ასევე წევრი სახელმწიფოების ეროვნულ დონეზე, და რეკომენდაციების შედგენა ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების კანონმდებლობისა და საქართველოს კანონმდებლობის შედარებითი ანალიზის საფუძველზე.

კვლევაში წარმოდგენილია ევროკავშირის ხუთი წევრი სახელმწიფოს, კერძოდ კი საბერძნეთის, ესპანეთის, იტალიის, გერმანიისა და გაერთიანებული სამეფოს, თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში არსებული სახელმწიფო შესყიდვების კანონებისა და პრაქტიკის ანალიზი. ზოგიერთ მათგანს გააჩნია უახლოესი

კულტურულ-სოციალური კავშირი საქართველოსთან, ხოლო სხვები გამოირჩევიან ამ საკითხისადმი ყოვლისმომცველი და საინტერესო მიდგომით.

ყველა ზემოთ წამოჭრილი საკითხის განხილვის ფონზე, წინამდებარე კვლევა იწყება ამ სფეროში არსებული ევროკავშირის ძირითადი დირექტივებისა და მოქმედი ეროვნული კანონების მიმოხილვითა და ანალიზით.

მიმოხილვა კონცენტრირებულია და შემოიფარგლება შესყიდვების კონკრეტული წესებითა და კანონების სპეციფიკური მახასიათებლებით, მათი გამოყენების სფეროსთან მიმართებაში.

შემდეგ, კვლევაში მოცემულია არსებული გამჭვირვალობისა და კორუფციის პრევენციის მექანიზმების ანალიზი. ყველაზე ეფექტური მექანიზმების გამოყოფის შემდეგ, კვლევაში მიმოხილულია შერჩეულ წევრ სახელმწიფოებში თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროებში გასაიდუმლოებული სახელმწიფო შესყიდვების პრაქტიკა და მიახლოებითი სიხშირე.

და ბოლოს, კვლევა შეიცავს ავტორის დასკვნებს ხსენებულ საკითხებზე, და საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობაში არსებულ საკანონმდებლო საკითხებთან დაკავშირებული რეკომენდაციებისა და მოგვარების შესაძლო გზების ჩამონათვალს.

I. ევროკავშირის დირექტივები

ევროკავშირის აქვს შედარებით კომპლექსური სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობა, რომელიც სწრაფად ჩამოყალიბდა ბოლო წლებში. ევროკავშირის დაახლოებით 250 000 საჯარო უწყება ხარჯავს ყოველწლიურად მშპ-ს დაახლოებით 14%-ს მომსახურების, სამუშაოების შესრულებისა და მიწოდების მომსახურების შესაძენად¹.

¹ხელმისაწვდომია მისამართზე: https://ec.europa.eu/growth/single-market/public-procurement_en

2016 წლის 18 აპრილიდან ახალმა წესებმა შეცვალა ევროკავშირის ქვეყნებისა და საჯარო უწყებების მიერ ევროპაში ყოველწლიურად 1,9 ტრილიონი ევროს დიდი ნაწილის სახელმწიფო შესყიდვებისთვის ხარჯვის პრაქტიკა. ეს დღე იყო სახელმწიფო შესყიდვებისა და კონცესიების შესახებ ორი წლის წინ მიღებული სამი ძირითადი დირექტივის (დირექტივები 2014/23/EU,² 2014/24/EU,³ და 2014/25/EU⁴) ეროვნულ კანონმდებლობაში გადატანის ვადა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ამ თარიღისთვის ევროკავშირის ქვეყნებს ამ დირექტივებთან შესაბამისობაში უნდა ჰქონოდათ მოყვანილი საკუთარი ეროვნული კანონმდებლობა⁵.

ევროკავშირში მოქმედი შესყიდვების წესების მიზანი, რომელსაც საფუძვლად უდევს დამფუძნებელი ხელშეკრულების პრინციპები, არის სახელმწიფო შესყიდვების ბაზრის გახსნა და ევროკავშირის მასშტაბით მიწოდების, მომსახურებისა და სამუშაოების თავისუფალი მოძრაობის უზრუნველყოფა⁶.

²ხელმისაწვდომია მისამართზე: <http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:32014L0023&from=EN>

³EUR-Lex წვდომა ევროკავშირის კანონმდებლობაზე, *ევროპარლამენტისა და საბჭოს 2014 წლის 26 თებერვლის დირექტივა 2014/24/EU „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“, რომლითაც უქმდება დირექტივა 2004/18/EC, ტექსტი შეესაბამება ევროპის ეკონომიკურ სივრცეს*, <http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=celex:32014L0024>, წვდომის თარიღი: 03.11.2016.

⁴EUR-Lex წვდომა ევროკავშირის კანონმდებლობაზე, *ევროპარლამენტისა და საბჭოს 2014 წლის 26 თებერვლის დირექტივა 2014/25/EU „წყალმომარაგების, ენერჯეტიკის, ტრანსპორტირებისა და საფოსტო მომსახურების სექტორებში მომუშავე პირების მიერ შესყიდვების განხორციელების შესახებ“, რომლითაც უქმდება დირექტივა 2004/17/EC, ტექსტი შეესაბამება ევროპის ეკონომიკურ სივრცეს*, <http://eur-lex.europa.eu/legal-content/en/TXT/?uri=CELEX:32014L0025>, წვდომის თარიღი: 03.11.2016.

⁵ხელმისაწვდომია მისამართზე: <https://ec.europa.eu/growth/single-market/public-procurement/rules-implementation/>

⁶ზოლო დროს მიღებული დირექტივების მოკლე სახელმძღვანელო, 2014 წ.; ხელმისაწვდომია მისამართზე:

ცალკეული შემთხვევებიდან გამომდინარე თავდაცვასა და უსაფრთხოების ღონისძიებებთან დაკავშირებული სახელმწიფო შესყიდვების მნიშვნელოვანი ნაწილი ხორციელდება ფარული, გასაიდუმლოებული პროცედურის ფარგლებში, სადაც საჯაროობისა და გამჭვირვალობის საკითხები ყოველთვის წარმოშობს კოპუფციის შესაძლებლობას.

თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში სენსიტიური შესყიდვების შესახებ ევროკავშირის დირექტივა 2009/81/EC⁷ (*შემდგომში* მოხსენებული როგორც „თავდაცვის დირექტივა“ ან „დირექტივა 2009/81/EC“) ადგენს თავდაცვის მიზნებისთვის შეიარაღების, სამხედრო აღჭურვილობისა და საომარი მასალის (ასევე აღნიშნულთან დაკავშირებული სამუშაოებისა და მომსახურების) შესყიდვის ევროპულ წესებს. ეს დირექტივები ასევე ადგენს უსაფრთხოების მიზნით სენსიტიური ხასიათის მიწოდების, სამუშაოებისა და მომსახურების შესყიდვის წესებს. აღნიშნული წესები ადაპტირებულია თავდაცვის სფეროში შესყიდვების სპეციფიკასთან, რომლებიც განსაკუთრებით კომპლექსური და სენსიტიურია.

დირექტივით განსაზღვრულია წესები, რომლებიც აძლიერებს გამჭვირვალობასა და ღიაობას თავდაცვის ბაზარზე ევროკავშირის ქვეყნებს შორის, და ასევე უზრუნველყოფს ცალკეული ქვეყნების უსაფრთხოების ინტერესების დაცვას.

*თუმცა, ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების*⁸ 346-ე მუხლი ადგენს, რომ წევრმა სახელმწიფოებმა შესაძლოა დაუშვან გამონაკლისი ევროკავშირის კანონმდებლობის წესებიდან და პრინციპებიდან და მიიღონ რიგგარეშე ზომები სამხედრო აღჭურვილობისა და სხვა საომარი მასალის გაჭრობისა და

https://www.gov.uk/government/uploads/system/uploads/attachment_data/file/560261/Brief_Guide_to_the_2014_Directives_Oct_16.pdf

⁷ ევროკავშირის დირექტივა 2009/81/EC თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში სენსიტიური შესყიდვების შესახებ, ხელმისაწვდომია მისამართზე: <http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?qid=1474273392624&uri=CELEX:02009L0081-20160101>

⁸ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულება (2007).

შესყიდვების სფეროში, თუ ეს ზომები აუცილებელია უსაფრთხოების არსებითი ინტერესების დასაცავად⁹.

ეს დებულება წლების განმავლობაში იყო განხილვის საგანი, რადგან ის ფართოდ იქნა ინტერპრეტირებული უმეტესი წევრი სახელმწიფოს მიერ თავდაცვის სფეროში შესყიდვების ავტომატურად გამორიცხვით ევროკავშირის სამართლის წესებიდან და პრინციპებიდან. თუმცა, 2006 წლის დეკემბერში ევროპულმა კომისიამ ახსნა და განმარტა მისი შეხედულებები 346-ე მუხლის სათანადოდ გაგებასთან დაკავშირებით¹⁰.

პრინციპში, „თავდაცვის დირექტივა“ მოიცავს ორ ძირითად სფეროს: (ა) სამხედრო აღჭურვილობა, რომელიც დაკავშირებულია მომსახურების და სამუშაოების განხორციელების შესახებ ხელშეკრულებებთან; (ბ) თავდაცვის (არა მხოლოდ თავდაცვის ან ეროვნული უსაფრთხოების) მიზნებისთვის განხორციელებული სენსიტიური შესყიდვები, ან შესყიდვები რომელიც დაკავშირებულია გასაიდუმლოებულ ინფორმაციასთან. ის ძალაში შევიდა 2009 წლის 21 აგვისტოს და მისი იმპლემენტაციის პერიოდი დასრულდა 2011 წელს.

თავდაცვის სფეროში შესყიდვების კუთხით ევროკავშირის კიდევ ერთი მარეგულირებელი სისტემა არის „ევროპის თავდაცვის სააგენტოს ქცევის კოდექსი თავდაცვის სფეროში შესყიდვებთან დაკავშირებით“¹¹, რომელიც არის ნებაყოფილობითი, სამართლებრივად არასავალდებულო სისტემა, რომელიც ვრცელდება ისეთი შესყიდვების ხელშეკრულებების შემთხვევაში სადაც დაკმაყოფილებულია „ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების“

⁹ხელმისაწვდომია მისამართზე: <http://procurement.gov.ge/getattachment/ELibrary/INT-PUBLIC/sax-shes-sashualebebi/8.pdf.aspx>

¹⁰ხელმისაწვდომია მისამართზე: http://ec.europa.eu/smart-regulation/impact/ia_carried_out/docs/ia_2006/sec_2006_1554_en.pdf

¹¹„ევროპის თავდაცვის სააგენტოს ქცევის კოდექსი თავდაცვის სფეროში შესყიდვებთან დაკავშირებით“, ხელმისაწვდომია მისამართზე: <http://www.eda.europa.eu/docs/documents/CoC.pdf>.

346-ე მუხლის პირობები, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ისეთ შემთხვევებში, რომლებსაც არ მოიცავს „თავდაცვის დირექტივა“. „ქვევის კოდექსი“ ვრცელდება შესყიდვების ხელშეკრულებებზე მხოლოდ თავდაცვის (და არა უსაფრთხოების) სფეროში, რომელთა ღირებულება აღემატება ერთ მილიონ ევროს. აქედან გამომდინარე, მისი გამოყენებაც შედარებით შეზღუდულია მისი მოქმედების სფეროსა და ხასიათის გამო.

დირექტივის მიღებამდე თავდაცვისა და სენსიტიური უსაფრთხოების სფეროში საჭირო აღჭურვილობის შესყიდვა უმეტესწილად ხდებოდა ეროვნული პროცედურების მიხედვით, რომლებიც დიდად განსხვავდებოდა ერთმანეთისგან გამოქვეყნების, სატენდერო პროცედურებისა და სხვა კუთხით. ეს წარმოადგენდა ევროპაში თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში საჭირო აღჭურვილობის საერთო ბაზრის ძირითად დაბრკოლებას. თავდაცვისა და უსაფრთხოების მეტად სენსიტიური ბაზრების საჭიროებებზე მორგებული კონკრეტული დირექტივის შემოღებით ევროპულ კომისიას იმედი ჰქონდა, რომ წახალისებდა ევროკავშირის ზოგ წევრ სახელმწიფოს ზედმეტად არ გამოეყენებინათ გამონაკლისები.

ამ სფეროში ბოლო დროს განვითარებული მოვლენების შესანიშნავი შედეგი არის ახალი წესები, რომლებიც ავალდებულებს წევრ სახელმწიფოებს ორგანიზება გაუწიონ და ევროკავშირის ოფიციალურ ბიულეტენში¹² გამოაქვეყნონ თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში განხორციელებული ყველა შესყიდვა, რაც გაზრდის გამჭვირვალობასა და ანგარიშვალდებულებას.

II. ეროვნული კანონმდებლობა

იმის გათვალისწინებით, რომ სახელმწიფო შესყიდვების უმეტესობა რეგულირდება ევროკავშირის სამართლით აშკარა კონკურენტული მიზნების გამო, იტალიის კანონმდებლობა ამ სფეროში თითქმის მთლიანად ჩამოყალიბდა მხოლოდ

¹²ხელმისაწვდომია მისამართზე: <http://www.ojeu.eu/>

შესაბამისი ევროკავშირის სამართლის, კერძოდ კი ზემოთ ხსენებული დირექტივების, ეროვნულ კანონმდებლობაში გადატანით.

ბოლო პერიოდში, ევროკავშირში მოქმედ შესყიდვების წესებში შევიდა¹³ ცვლილებები და, შესაბამისად, იტალიის მთავრობამ (რომელსაც პარლამენტის მიერ ენიჭება მისი ზედამხედველობის ქვეშ ასეთი დირექტივების იმპლემენტაციის უფლებამოსილება ¹⁴) დაამტკიცა ახალი დადგენილება 2016 წლის 18 აპრილს¹⁵ (შემდგომში მოხსენებული როგორც „შესყიდვების კოდექსი“).

„შესყიდვების კოდექსი“ მოიცავს რამდენიმე ძირითად პრინციპსა და დეტალურ პროცედურას, რომელთა დაცვაც უნდა მოხდეს სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების დროს. ამ კვლევის მიზნებისთვის საინტერესოა, რომ კოდექსი ადგენს თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში შესყიდვების განხორციელების სპეციალურ რეჟიმს.

„შესყიდვების კოდექსის“ 159-ე მუხლის თანახმად თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში განხორციელებული შესყიდვები არ რეგულირდება დადგენილებით ისეთ შემთხვევებში, როდესაც *„ერის საზოგადოებრივი ინტერესების დასაცავად არ არსებობს სხვა გზა გარდა იმისა, რომ მოხდეს ჩვეულებრივი შესყიდვების პროცედურებისთვის გვერდის ავლა.“*

აღნიშნული გამონაკლისი შესაძლოა აიხსნას იმის გათვალისწინებით, რომ თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში განხორციელებული შესყიდვების

¹³იხ.სქოლიო 6.

¹⁴Legge [კანონი] n.11/2016, რომელიც ადგენს მთავრობის მიერ ევროკავშირის დირექტივების იმპლემენტაციის სახელმძღვანელო მითითებებს. ხელმისაწვდომია მისამართზე: <http://www.gazzettaufficiale.it/eli/id/2016/01/29/16G00013/sg>.

¹⁵ Decreto legislativo [კანონის ძალის მქონე ბრძანება] n.50/2016, ხელმისაწვდომია მისამართზე: <http://www.normattiva.it/uri-res/N2Ls?urn:nir:stato:decreto.legislativo:2016;50>.

უმეტესობა რეგულირდება დადგენილებით no. 208/2011¹⁶ (დირექტივის 2009/81/EC ეროვნულ კანონმდებლობაში გადმოტანა) შესაძენი საქონლისა და მომსახურების სპეციფიკიდან გამომდინარე (სამხედრო და სენსიტიური უსაფრთხოების სამუშაოები, მომსახურება, აღჭურვილობა). გარდა ამისა, 2013 წლის 13 მარტს მიღებული იქნა პრეზიდენტის ბრძანებულება¹⁷, რომელიც არეგულირებს დადგენილების no. 208/2011 გამოყენებას თავდაცვის სამინისტროს მიერ განხორციელებული კონკრეტული შესყიდვების დროს.

თუმცა, დადგენილებით no. 208/2011 განსაზღვრული პროცედურა არ ვრცელდება შესყიდვების გარკვეულ ნაწილზე, რომელიც ითხოვს გარკვეული დონის კონფიდენციალურობის დაცვას, როგორცაა:

- ევროპის საბჭოს გადაწყვეტილებაში n.255/58 ჩამოთვლილი იარაღის და სამხედრო აღჭურვილობის წარმოებასთან დაკავშირებული ხელშეკრულებები;
- სადაზღვევრო საქმიანობასთან დაკავშირებული ხელშეკრულებები;
- ხელშეკრულებები, რომელთა კონფიდენციალურობაც უნდა იქნას დაცული იტალიის რესპუბლიკის უსაფრთხოების ინტერესების დაცვის მიზნით.

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, ევროკავშირის დირექტივიდან აღნიშნული გამონაკლისის დაშვება არის კანონიერი „ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ

¹⁶პრემიერ-მინისტრის ბრძანების ორიგინალი ვერსია, ხელმისაწვდომია მისამართზე: <http://www.gazzettaufficiale.it/gunewsletter/dettaglio.jsp?service=1&datagu=20111216&task=dettaglio&numgu=292&redaz=011G0249&tmstp=1325581432100>.

¹⁷ Decreto del Presidente della Repubblica [რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულება] n.49/2013. ხელმისაწვდომია მისამართზე: http://www.gazzettaufficiale.it/atto/serie_generale/caricaDettaglioAtto/originario?atto.dataPubblicazioneGazzetta=2013-05-13&atto.codiceRedazionale=13G00092&elenco30giorni=true.6.

ხელშეკრულების“ 346-ე მუხლის თანახმად, რადგანაც წევრ სახელმწიფოებს უფლება აქვთ დამოუკიდებლად განსაზღვრონ სამხედრო აღჭურვილობის შესყიდვის წესები და პროცედურები, ეროვნული უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი ინტერესის გათვალისწინებით.

„ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების“ 346-ე მუხლით გათვალისწინებულ სპეციალურ რეჟიმზე მითითებით, იტალიის პრემიერ-მინისტრმა გამოსცა ბრძანება¹⁸ „ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების“ 346-ე მუხლით გათვალისწინებული სპეციალური რეჟიმის გატარების მიზნით საჯარო უწყებების მიერ დასაცავ კრიტერიუმებთან დაკავშირებით.

159-ე მუხლით გათვალისწინებული გამონაკლისის (და მასთან დაკავშირებით, დადგენილების 208/2011 მოქმედების სფეროდან გარკვეული ხელშეკრულებების გამორიცხვის) გარდა, „შესყიდვების კოდექსის“ 162-ე მუხლის თანახმად შესაძლოა დაცული არ იქნას ჩვეულებრივი შესყიდვების პროცედურები იმ ხელშეკრულების შესრულებისას, რომელიც:

- არის კონფიდენციალური და შეიცავს მითითებას საგანზე, ქმედებებზე და შესრულებაზე;
- კანონმდებლობის, რეგულაციების ან ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების თანახმად შესასრულებლად საჭიროებს უსაფრთხოების განსაკუთრებული ზომების მიღებას.

ესპანეთის საიდუმლო სახელმწიფო შესყიდვების ანალიზისას აუცილებელია იმის გათვალისწინება, რომ ეროვნულ დონეზე არ არსებობს კონკრეტული კანონები (მოსალოდნელია მოკლე ხანში ევროკავშირის დირექტივის იმპლემენტაცია), ზოგადი კანონები ან პროცედურები, რომელიც სრულად ან ამომწურავად არეგულირებს ამ კონკრეტულ საკითხს. აქედან გამომდინარე, პირველ რიგში, აუცილებელია იმ წესების

¹⁸ Direttiva del Presidente del Consiglio dei Ministri, 21 Gennaio 2014. ხელმისაწვდომია მისამართზე: <http://www.gazzettaufficiale.it/eli/id/2014/04/14/14A02907/sg>.

ანალიზის განხორციელება, რომლებიც არეგულირებს ესპანეთის სახელმწიფო შესყიდვების საერთო სისტემას.

ეს წესებია: (ა) 2011 წლის 14 ნოემბრის სამეფო საკანონმდებლო აქტი no. 3/2011, რომლითაც დამტკიცდა "საჯარო სექტორში შესყიდვის ხელშეკრულებების შესახებ კანონის" კონსოლიდირებული ვერსია, რომელსაც, სხვა საკანონმდებლო აქტებთან ერთად, დაემატა შემდეგი კანონები: (ბ) 2007 წლის 30 ოქტომბრის კანონი no. 31/2007 „წყალმომარაგების, ენერგეტიკის, ტრანსპორტირებისა და საფოსტო მომსახურების სექტორებში შესყიდვების პროცედურის შესახებ“ და (გ) 2011 წლის 1 აგვისტოს კანონი no. 24/2011 „თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროებში სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებების შესახებ“.

„საჯარო სექტორში შესყიდვის ხელშეკრულებების შესახებ კანონის“ მიზანი არის ესპანეთის საჯარო სექტორის მიერ გაფორმებული შესყიდვების ხელშეკრულებების საყოველთაო რეგულირება, რათა, სხვა მიზნებთან ერთად, უზრუნველყოფილი იქნას შესყიდვების განხორციელება ტენდერებზე თავისუფალი წვდომის, საჯაროობისა და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვით, და ასევე კანდიდატებს შორის ყოველგვარი დისკრიმინაციისა და არათანაბარი მოპყრობის თავიდან აცილება.

ზემოთ ხსენებული რეგულაციების შეუზღუდავად, „საჯარო სექტორში შესყიდვის ხელშეკრულებების შესახებ კანონით“ და ასევე „წყალმომარაგების, ენერგეტიკის, ტრანსპორტირებისა და საფოსტო მომსახურების სექტორებში შესყიდვების პროცედურის შესახებ კანონით“ და „თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროებში სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებების შესახებ კანონით“ აღიარებულია აღნიშნული პრინციპებიდან და მიზნებიდან გამონაკლისების არსებობა, სხვადასხვა მოსაზრებიდან გამომდინარე.

უპირველეს ყოვლისა, „საჯარო სექტორში შესყიდვის ხელშეკრულებების შესახებ კანონის“ მე-4 მუხლის თანახმად, „ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების“ 346-ე მუხლის მოქმედების სფეროში შემავალ ხელშეკრულებებზე

არ ვრცელდება "საჯარო სექტორში შესყიდვის ხელშეკრულებების შესახებ კანონი". ანალოგიურად, „საჯარო სექტორში შესყიდვის ხელშეკრულებების შესახებ კანონის“ მე-13(2) მუხლის (c) და (d) ქვეპუნქტების თანახმად, ითვლება, რომ, მიუხედავად მათი სავარაუდო ღირებულებისა, ზოგადი კანონმდებლობა არ ვრცელდება ხელშეკრულებებზე: (i) რომლებიც ფორმდება თავდაცვის სფეროში; (ii) რომლებიც გამოცხადებულია საიდუმლოდ ან დათქმულად; (iii) რომელთა შესრულების დროს მიღებულ უნდა იქნას უსაფრთხოების განსაკუთრებული ზომები მოქმედი კანონმდებლობის თანახმად; და (iv) რომლებიც დაკავშირებულია ქვეყნის უსაფრთხოების არსებითი ინტერესების დაცვასთან.

გარდა ამისა, მიწოდების შესახებ ხელშეკრულებებთან დაკავშირებით „საჯარო სექტორში შესყიდვის ხელშეკრულებების შესახებ კანონის“ მე-15(1)(a) მუხლში აღნიშნულია, რომ იმ ხელშეკრულებების შემთხვევაში, რომლებიც ფორმდება თავდაცვის სფეროში შემავალი შემსყიდველი პირების მიერ, ზოგადი ზღვრული მოცულობა 125 000 ევროს ოდენობით (რომელიც დადგენილია იმის განსაზღვრის მიზნით, შედის თუ არა კონკრეტული ხელშეკრულება ჰარმონიზებული რეგულაციის მოქმედების სფეროში) ვრცელდება მხოლოდ იმ მიწოდების შესახებ ხელშეკრულებებზე, რომლებიც უკავშირდება „საჯარო სექტორში შესყიდვის ხელშეკრულებების შესახებ კანონის“ III დანართით გათვალისწინებულ ერთ ან მეტ პროდუქტს¹⁹.

გარდა ამისა, „საჯარო სექტორში შესყიდვის ხელშეკრულებების შესახებ კანონის“ 153-ე მუხლში მკაფიოდ არის აღნიშნული, რომ შემსყიდველ პირს არ აქვს ხელშეკრულების გაფორმებასთან დაკავშირებული გარკვეული მონაცემების გამჟღავნების უფლება, თუ ითვლება, რომ სრულდება რომელიმე ქვემოთ ჩამოთვლილი პირობა: (ა) ასეთი ინფორმაციის გამჟღავნებამ შესაძლოა საფრთხე

¹⁹„საჯარო სექტორში შესყიდვის ხელშეკრულებების შესახებ კანონის“ III დანართით გათვალისწინებული პროდუქტების სრული სია მოცემულია 183-ე გვერდზე (გვ. 117911); ხელმისაწვდომია მისამართზე: <http://www.boe.es/boe/dias/2011/11/16/pdfs/BOE-A-2011-17887.pdf>.

შეუქმნას სამართლებრივი ნორმების გამოყენებას; (ბ) ეს ეწინააღმდეგება საზოგადოებრივ ინტერესს; (გ) ამან შესაძლოა ზიანი მიაყენოს საჯარო ან კერძო კომპანიების ლეგიტიმურ კომერციულ ინტერესებს ან მათ შორის სამართლიან კონკურენციას, (iv) ხელშეკრულებებთან დაკავშირებით, რომლებიც გამოცხადებულია საიდუმლოდ ან დათქმულად; (v) ხელშეკრულებებთან დაკავშირებით, რომელთა შესრულების დროსაც უნდა მოხდეს უსაფრთხოების განსაკუთრებული ზომების მიღება მოქმედი კანონმდებლობის თანახმად; ან (vi) როდესაც ეს საჭიროა ქვეყნის უსაფრთხოების არსებითი ინტერესების დასაცავად; და ის აღიარებული უნდა იქნას „საჯარო სექტორში შესყიდვის ხელშეკრულებების შესახებ კანონის“ მე-13(2)(d) მუხლის თანახმად. ამ მუხლის გამოყენება შესაბამისად უნდა იქნას დასაბუთებული ხელშეკრულების გაფორმების შესაბამის ფაილში.

„საჯარო სექტორში შესყიდვის ხელშეკრულებების შესახებ კანონის“ მე-13(2)(d) მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებულია პროცედურები, რომელთა თანახმადაც უნდა მოხდეს ხელშეკრულების გამოცხადება საიდუმლოდ ან დათქმულად, ან უნდა გამოცხადდეს, რომ ხელშეკრულების შესრულებისას მიღებულ უნდა იქნას უსაფრთხოების განსაკუთრებული ზომები მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, ან უნდა გამოცხადდეს, რომ ის საჭიროა ქვეყნის უსაფრთხოების არსებითი ინტერესების დასაცავად. აღნიშნული პროცედურების თანახმად შესაბამისი განცხადება მიღებული უნდა იქნას, თითოეულ შემთხვევაში, სამინისტროს დეპარტამენტის ხელმძღვანელის მიერ, რომელსაც ექვემდებარება შემსყიდველი პირი. გარდა კანონით აშკარად განსაზღვრული შემთხვევებისა, დაუშვებელია აღნიშნული განცხადების გაკეთების უფლებამოსილებისა და კომპეტენციის დელეგირება.

ზემოთ მოცემული გამონაკლისების გარდა, „საჯარო სექტორში შესყიდვის ხელშეკრულებების შესახებ კანონის“ თანახმად, გარკვეულ შემთხვევებში უნდა მოხდეს კონკრეტული პროცედურების დაცვა, რაც წარმოადგენს გადახვევას უკვე გამოყენებული ზოგადი პროცედურებიდან. ეს პროცედურებია:

(i) გადაუდებელი შემთხვევებისთვის გათვალისწინებული ჩვეულებრივი პროცედურები:²⁰ როდესაც ხელისუფლებას უწევს დაუყოვნებლივ იმოქმედოს კატასტროფული მოვლენების ან ისეთი ვითარების გამო, როდესაც შესაძლოა ჩაითვალოს, რომ ეროვნულ თავდაცვაზე გავლენას ახდენს სერიოზული საფრთხე ან საჭიროება, ადმინისტრაციული ფაილის დამუშავების ვალდებულების გარეშე შემსყიდველმა პირმა შესაძლოა გააკეთოს შეკვეთა აუცილებელი ბრძანებების შესრულებაზე შესაბამისი მოვლენის გამოსწორების ან შესაბამისი საჭიროების დაკმაყოფილების მიზნით, ან თავისუფლად გააფორმოს ხელშეკრულება მის ობიექტთან „საჯარო სექტორში შესყიდვის ხელშეკრულებების შესახებ კანონით“ გათვალისწინებული ფორმარული მოთხოვნების სრულად ან ნაწილობრივ დაუცველად. მიუხედავად ამისა, ასეთი გადაუდებელი შემთხვევების დროს გაფორმებული ხელშეკრულებების შესახებ უნდა ეცნობოს მინისტრთა საბჭოს 60 დღის ვადაში და, ამ გამონაკლისი პროცედურებით გათვალისწინებული ქმედებების განხორციელების შემდეგ, საჭირო იქნება აუცილებელი მოთხოვნების დაკმაყოფილება ჩარევისა და ამის გამამართლებელი მიზეზების დამტკიცებისთვის.

(ii) მეორეხარისხოვანი ხელშეკრულებები:²¹ე.წ. „მეორეხარისხოვანი ხელშეკრულებები“ შესაძლოა პირდაპირ გაფორმდეს ნებისმიერ მეწარმე სუბიექტთან, თუ ამ უკანასკნელს აქვს მოქმედების განხორციელების შესაძლებლობა და თავისი ვალდებულებების შესრულებისთვის აუცილებელი პროფესიული უნარები. ამ მიზნით განიხილება მეორეხარისხოვანი ხელშეკრულებები, სამუშაოების შესრულების შესახებ ხელშეკრულებები (*contratos de obras*, რომელიც გათვალისწინებულია „საჯარო სექტორში შესყიდვის ხელშეკრულებების შესახებ კანონის“ მე-6 მუხლით), რომელთა ღირებულება არის 50 000 ევროზე ნაკლები, და

²⁰„საჯარო სექტორში შესყიდვის ხელშეკრულებების შესახებ კანონის“ 113-ე და შემდეგი მუხლი, და 137-ე მუხლი.

²¹„საჯარო სექტორში შესყიდვის ხელშეკრულებების შესახებ კანონის“ 138-ე მუხლი, No. 3.

ნებისმიერი სხვა ტიპის ხელშეკრულებები, რომელთა ღირებულება არ აღემატება 18 000 ევროს.

(iii) შეთანხმებული პროცედურები:²²სხვა ხელშეკრულებების მსგავსად ეს პროცედურები ვრცელდება ხელშეკრულებებზე: რომლებიც გამოცხადებულია საიდუმლოდ ან დათქმულად, რომელთა შესრულების დროსაც მიღებულ უნდა იქნას უსაფრთხოების განსაკუთრებული ზომები მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, ან რომლებიც საჭიროა ქვეყნის უსაფრთხოების არსებითი ინტერესების დასაცავად, რომლებიც უნდა გამოცხადდეს „საჯარო სექტორში შესყიდვის ხელშეკრულებების შესახებ კანონის“ მე-13(2)(d) მუხლის თანახმად და რომლებზეც ვრცელდება „ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების“ 346-ე მუხლის მოქმედება. ამ პროცედურების თანახმად ტენდერის მონაწილე სამართლიანად შეირჩევა შემსყიდველი პირის მიერ სხვადასხვა კანდიდატთან კონსულტაციისა და ერთ ან რამდენიმე მათგანთან ხელშეკრულების პირობების მოლაპარაკების შემდეგ. „საჯარო სექტორში შესყიდვის ხელშეკრულებების შესახებ კანონის“ თანახმად, თუ ეს შესაძლებელია, პროცესში მონაწილეობის მისაღებად ხდება მინიმუმ სამი კომპანიის მოწვევა, რომელთაც შეუძლიათ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება. „საჯარო სექტორში შესყიდვის ხელშეკრულებების შესახებ კანონის“ 169(2)-ე მუხლის თანახმად, ამ პროცედურის (სხვა პროცედურებთან ერთად) გამოყენების ზემოთ ჩამოთვლილ სცენარებში აუცილებელი არ იქნება პროცედურის გასაჯაროება.

მეორე, „წყალმომარაგების, ენერგეტიკის, ტრანსპორტირებისა და საფოსტო მომსახურების სექტორებში შესყიდვების პროცედურის შესახებ კანონის“ მე-13(8)(f) მუხლის თანახმად, აღნიშნული კანონის მოქმედება არ ვრცელდება ხელშეკრულებებზე, რომლებიც გამოცხადებულია საიდუმლოდ ან დათქმულად, რომელთა შესრულების დროსაც უნდა მოხდეს უსაფრთხოების განსაკუთრებული

²²„საჯარო სექტორში შესყიდვის ხელშეკრულებების შესახებ კანონის“ 169-ე და მომდევნო მუხლები.

ზომების მიღება მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, და რომლებიც საჭიროა ქვეყნის უსაფრთხოების არსებითი ინტერესების დასაცავად.

მესამე, „თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროებში სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებების შესახებ კანონის“ მიზანი არის სამუშაოების, მიწოდების ან მომსახურების შესახებ ხელშეკრულებების მომზადებისა და გაფორმების პროცედურების რეგულირება, და თანამშრომლობა საჯარო და კერძო სექტორებს შორის, რომელიც ხორციელდება თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროებში, ასეთი ხელშეკრულებების ღირებულების მიუხედავად. „თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროებში სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებების შესახებ კანონის“ საშუალებით ესპანეთის კანონმდებელმა ესპანეთის ეროვნულ სამართლებრივ სისტემაში დანერგა დირექტივით 2009/81/EC გათვალისწინებული წესები.

გარდა ამისა, „თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროებში სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებების შესახებ კანონის“ 26(5)-ე მუხლის თანახმად, შემსყიდველ პირს უფლება აქვს სატენდერო განაცხადში არ გამოაქვეყნოს ისეთი ინფორმაცია, რომელიც შესაძლოა წარმოადგენდეს კანონმდებლობის მოქმედებისთვის დამაბრკოლებელ ფაქტორს, ეწინააღმდეგებოდეს საზოგადოებრივ ინტერესს, განსაკუთრებით თავდაცვისა და უსაფრთხოების ინტერესებს, ან რომელმაც შესაძლოა ზიანი მიაყენოს ტენდერის მონაწილეთა ლეგიტიმურ კომერციულ ინტერესებს ან მათ შორის სამართლიან კონკურენციას. ანალოგიურად, „თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროებში სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებების შესახებ კანონის“ 35(3)-ე და 33(4)-ე მუხლების თანახმად, შემსყიდველ პირს უფლება აქვს არ გამოაქვეყნოს ხელშეკრულების გაფორმებასთან დაკავშირებული გარკვეული ინფორმაცია, თუ ითვლება, რომ ასეთი ინფორმაციის გამჟღავნებამ შესაძლოა საფრთხე შეუქმნას წესის გამოყენებას, ეწინააღმდეგებოდეს საზოგადოებრივ ინტერესს, განსაკუთრებით თავდაცვისა და შიდა უსაფრთხოების სფეროებში, ან ზიანი მიაყენოს საჯარო თუ კერძო კომპანიების ლეგიტიმურ კომერციულ ინტერესს.

კონფიდენციალურობის შესახებ ამ გამონაკლისის გამოყენება შესაბამისად უნდა იქნას დასაბუთებული ხელშეკრულების გაფორმების შესაბამის ფაილში.

ზემოთ მოცემული წესების გარდა, „საჯარო სექტორში შესყიდვის ხელშეკრულებების შესახებ კანონის“ თანახმად, გარკვეულ შემთხვევებში, უნდა მოხდეს კონკრეტული პროცედურების დაცვა, რაც წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვების ზოგადი პრინციპებიდან გადახვევას. ეს პროცედურებია:

(i) მეორეხარისხოვანი ხელშეკრულებები:²³ე.წ. „მეორეხარისხოვანი ხელშეკრულებები“ შესაძლოა პირდაპირ გაფორმდეს ნებისმიერ მეწარმე სუბიექტთან, თუ ამ უკანასკნელს აქვს მოქმედების განხორციელების შესაძლებლობა და აკმაყოფილებს „თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროებში სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებების შესახებ კანონით“ დადგენილ სხვა მოთხოვნებს. ამ მიზნით, მეორეხარისხოვანი ხელშეკრულების და სამუშაოების შესრულების შესახებ ხელშეკრულების (ლათ. *contratos de obras*) ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს 50 000 ევროს, ხოლო მომსახურების მიწოდების შესახებ ხელშეკრულების ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს 18 000 ევროს.

(ii) არასაჯარო შეთანხმებული პროცედურები²⁴: შემსყიდველ პირს შეუძლია გააფორმოს ხელშეკრულება შეთანხმებული პროცედურების დაცვით, შესაბამისი დასაბუთების საფუძველზე სატენდერო განაცხადის წინასწარი გამოქვეყნების გარეშე. აღნიშნული პროცედურები შეიძლება გამოყენებული იქნას ყველა ხელშეკრულებისთვის, რომლებზედაც ვრცელდება „თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროებში სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებების შესახებ კანონის“ მოქმედება, 44-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში, რომლებიც, სხვასთან ერთად, მოიცავს სამუშაოების შესრულების შესახებ ხელშეკრულებებს (ლათ. *contratos de obras*),

²³„თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროებში სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებების შესახებ კანონის“ 24(3)-ე მუხლი.

²⁴„თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროებში სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებების შესახებ კანონის“ 44-ე მუხლი.

რომელთა ღირებულება არ აღემატება 200 000 ევროს, და მომსახურების მიწოდების შესახებ ხელშეკრულებებს, რომელთა ღირებულება არ აღემატება 60 000 ევროს.

საბერძნეთში სახელმწიფო შესყიდვების ზოგადი პროცედურები რეგულირდება ბოლო პერიოდში მიღებული კანონით no. 4412/2016²⁵, რომელიც ძალაში შევიდა 2016 წლის 8 აგვისტოს. აღნიშნულ კანონში აშკარად გადმოტანილია ამ სფეროში არსებული შემდეგი ორი ძირითადი დირექტივა: ა) დირექტივა 2014/24/EC და ბ) დირექტივა 2014/25/EC.

ზემოთ ხსენებული კანონი ვრცელდება სახელმწიფო შესყიდვების ყველა პროცედურაზე. თუმცა, მე-15 მუხლის (რომელიც წარმოადგენს ეროვნულ კანონმდებლობაში გადმოტანილ დირექტივის 2014/24/EC მე-15 მუხლს) თანახმად, ეროვნული უსაფრთხოებისა და თავდაცვის სფეროში განხორციელებული შესყიდვების შემთხვევებზე არ ვრცელდება კანონი no. 4412/2016 და ყველა სახელმწიფო ხელშეკრულება რეგულირდება კანონით no. 3978/2011 ან საერთაშორისო ხელშეკრულებებით.

კანონი no. 3978/2011²⁶ შეიცავს დებულებებს უსაფრთხოებისა და თავდაცვის სფეროებში სამუშაოებზე, მომსახურებასა და მიწოდებაზე სახელმწიფო ხელშეკრულებების შესახებ, და ასევე დებულებებს დირექტივის 2009/81/EC ეროვნულ კანონმდებლობაში გადმოტანის შესახებ²⁷. კანონის no. 3978/2011 პირველი ნაწილი

²⁵კანონი 4412/2016 „საჯარო სამუშაოების შესახებ ხელშეკრულების, მიწოდების ხელშეკრულების და მომსახურების ხელშეკრულების შესახებ“ (დირექტივების 2014/24/EU და 2014/25/EU ეროვნულ კანონმდებლობაში გადმოტანა), საბერძნეთის რესპუბლიკის სამთავრობო მაცნე, No A 147/8.8.2016.

²⁶კანონი 3978/2011 „უსაფრთხოებისა და თავდაცვის სფეროებში სამუშაოებზე, მომსახურებასა და მიწოდებაზე სახელმწიფო ხელშეკრულებების და დირექტივის 2009/81/EC ეროვნულ კანონმდებლობაში გადმოტანის შესახებ“, საბერძნეთის რესპუბლიკის სამთავრობო მაცნე, No A 137/16.6.2011

²⁷EUR-Lex წვდომა ევროკავშირის კანონმდებლობაზე, ევროპარლამენტისა და საბჭოს 2009 წლის 13 ივლისის დირექტივა თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში უწყებებთან ან პირებთან ხელშეკრულებების გაფორმებით სამუშაოების შესახებ ხელშეკრულების, მიწოდების ხელშეკრულებისა

შეიცავს დებულებებსა და მითითებებს ეროვნულ კანონმდებლობაზე გამჭვირვალობის პოლიტიკის შესახებ; ხოლო იმავე კანონის მეორე და მესამე ნაწილები ძირითადად წარმოადგენს დირექტივის 2009/81/EC ეროვნულ კანონმდებლობაში გადმოტანილ დებულებებს.

გარდა ამისა, თავდაცვისა და უსაფრთხოების სექტორებში სახელმწიფო შესყიდვების გარკვეული სფეროები რეგულირდება კანონით no. 3433/2006, რომელიც წარმოადგენს ამ სფეროში არსებულ, მნიშვნელობით მეორე საკანონმდებლო აქტს.

დამატებით დაკისრებულ ვალდებულებებთან დაკავშირებით, **გაერთიანებულმა სამეფომ** ეროვნულ კანონმდებლობაში გადმოიტანა „თავდაცვის დირექტივა“ და მიიღო ახალი „რეგულაცია თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროებში სახელმწიფო ხელშეკრულებების შესახებ“ (*შემდგომში* "რეგულაცია") 2011 წლის აგვისტოში²⁸. აღნიშნული დოკუმენტი შედარებით ყოვლისმომცველია და ძირითადად შედგენილია დირექტივის მიხედვით. თუმცა, აღსანიშნავია, რომ თავდაცვის სამინისტროს შენარჩუნებული აქვს მთავარი როლი სტატისტიკური ანგარიშგებისა და ნებისმიერი სახის აღსრულების საკითხებში; აქედან გამომდინარე, ის არის კრიტიკის საგანი გამჭვირვალობის მექანიზმების ნაკლებობის გამო.

რეგულაციით მოხდა ზოგადი სახელმწიფო შესყიდვების წესებისა და პროცედურების მოდიფიცირება, მათში უსაფრთხოებისა და თავდაცვის სექტორების კონკრეტული საჭიროებების ასახვის მიზნით. მაგალითად, შეთანხმებული

და მომსახურების ხელშეკრულების გაფორმების პროცედურების კოორდინაციის შესახებ, რომლითაც უქმდება დირექტივები 2004/17/EC და 2004/18/EC (ტექსტი შეესაბამება ევროპის ეკონომიკურ სივრცეს)

<http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=celex:32009L0081><http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=celex:32009L0081>, წვდომის თარიღი: 03.11.2016.

²⁸ რეგულაცია თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროებში სახელმწიფო ხელშეკრულებების შესახებ, მიღებულია 2011 წელს, ხელმისაწვდომია მისამართზე: https://www.gov.uk/government/uploads/system/uploads/attachment_data/file/486845/20150409-FOI2015_03688_MOD_tender_evaluation_documents_DSPCR2011.pdf.

პროცედურის გამოყენება წინასწარი გამოქვეყნების პირობით არის სტანდარტული პროცედურა. გარდა ამისა, შემსყიდველმა პირებმა შეიძლება მოითხოვონ ინფორმაციის უსაფრთხოების უზრუნველყოფის გარანტიები; არსებობს მიწოდების უსაფრთხოებისა და ქვე-ხელშეკრულების გაფორმების მარეგულირებელი კონკრეტული დებულებები, და სამეცნიერო კვლევის ჩატარების შესახებ ხელშეკრულებების მარეგულირებელი კონკრეტული წესები.

გერმანიის ფედერალურმა რესპუბლიკამ მოახდინა „თავდაცვის დირექტივის“ იმპლემენტაცია 2012 წლის ივლისში. მთავარი საკონკურსო ორგანო (*Bundeskartellamt*) ხელმძღვანელობს ძირითადად სახელმწიფო შესყიდვებს, მათ შორის სახელმწიფო შესყიდვებს თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში.

გერმანიაში მოქმედი სახელმწიფო შესყიდვების რეჟიმის სამართლებრივი არსი ევროპულ სახელმწიფო ხელშეკრულებებთან მიმართებაში, ე.ი. იმ სახელმწიფო ხელშეკრულებებთან მიმართებაში, რომლებიც შეადგენს ან აღემატება ევროკავშირში მოქმედ ზღვრულ ნორმას, რეგულირდება გერმანიის „კონკურენციის შეზღუდვის საწინააღმდეგო აქტის“ IV ნაწილით (*Gesetz gegen Wettbewerbsbeschränkungen – GWB*). „კონკურენციის შეზღუდვის საწინააღმდეგო აქტის“ დამატებას წარმოადგენს გერმანიის „რეგულაცია სახელმწიფო ხელშეკრულებების გაფორმების შესახებ“ (*Vergabeverordnung – VgV*). შესყიდვების პროცედურები დეტალურადაა განსაზღვრული დელეგირებული კანონმდებლობით სხვადასხვა რეგულაციაში შესყიდვების შესახებ: (ა) „რეგულაცია სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (*Vergabe- und Vertragsordnung für Bauleistungen – VOB/A*); (ბ) „რეგულაცია მიწოდებისა და მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (*Vergabe- und Vertragsordnung für Leistungen – VOL/A*); და (გ) „რეგულაცია პროფესიული მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (*Vergabeordnung für freiberufliche Dienstleistungen – VOF*).²⁹

²⁹2016 წლის სახელმწიფო შესყიდვები გერმანიაში, 2016: მიმოხილვა, ხელმისაღწეომია მისამართზე: <http://www.mondaq.com/germany/x/464698/Government+Contracts+Procurement+PPP/Public+Procurement+2016+Germany+Overview>.

გერმანიის სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის მიზანია იმის უზრუნველყოფა, რომ სახელმწიფო შესყიდვების სამი ძირითადი პრინციპი, კერძოდ: გამჭვირვალობა, თანაბარი მოპყრობა და კონკურენცია, დაცული იქნას ყველა სახელმწიფო სატენდერო პროცედურის დროს.

წევრი სახელმწიფოების კანონმდებლობის ანალიზიდან ჩანს, რომ უმეტეს შემთხვევაში სახელმწიფოთა უმეტესობას სრულად აქვს იმპლემენტირებული „თავდაცვის ღირექტივა“, ქვემოთ მოცემული გარკვეული დისკრეციული უფლებამოსილებებისა და სხვადასხვა ზღვრული ნორმების გათვალისწინებით.

III. ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების სახელმწიფო შესყიდვების წესები

იტალიის პრემიერ-მინისტრის ბრძანებაში³⁰ მკაფიოდაა მითითებული ყველა სახელმწიფო უწყება, რომელსაც აქვს სპეციალური რეჟიმის გამოყენების უფლება, და ასევე ამავე ბრძანებით დანიშნულია „მინისტრთა საბჭოს“ შემადგენლობაში შემავალი სპეციალური სამხედრო კომიტეტი, რომელიც ახორციელებს განაცხადების ზედამხედველობასა და შეფასებას 346-ე მუხლის საფუძველზე.

ამ ბრძანებით გათვალისწინებული პროცედურის მიზანია 346-ე მუხლის გამოყენების კონკრეტული საფუძვლების და მისი შესაძლო შედეგების ზუსტი შეფასება. საბოლოო გადაწყვეტილება მიიღება კოლეგიური ორგანოს მიერ, რომელიც შედგება სხვადასხვა სამინისტროების წარმომადგენლებისგან, შესაბამისი კომპეტენციიდან გამომდინარე.

„შესყიდვების კოდექსი“, 162-ე მუხლით გათვალისწინებულ ხელშეკრულებებთან მიმართებაში (კონფიდენციალური ხელშეკრულები ან ხელშეკრულებები, რომელთა შესრულების დროსაც საჭიროა უსაფრთხოების განსაკუთრებული ზომების მიღება), ადგენს განსაკუთრებულ პროცედურას,

³⁰იხ. სქოლიო 16.

რომელიც შედგება არაფორმალური ტენდერისგან და გულისხმობს აუცილებლად მინიმუმ ხუთი მონაწილის არსებობას (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც რამდენიმე მონაწილის არსებობა შესაძლოა არ აკმაყოფილებდეს კონფიდენციალურობისა და უსაფრთხოების სტანდარტებს).

თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროებში შესყიდვებთან მიმართებაში, რომელიც რეგულირდება დადგენილებით no. 208/2011, არსებობს ხელშეკრულების გაფორმების მხოლოდ ორი ძირითადი პროცედურა: (ა) შეზღუდული პროცედურა³¹, ან (ბ) შეთანხმებული პროცედურა³², ხელშეკრულებების დადების შესახებ იფორმაციის გამოქვეყნებით.

თუმცა, კომპლექსური ხელშეკრულებების შემთხვევაში შესაძლოა გამოყენებული იქნას კონკურენტული მოლაპარაკებების ფორმატი. და ბოლოს, გარკვეულ გარემოებებში, შესაძლოა გამოყენებული იქნას შეთანხმებული პროცედურა ხელშეკრულებების დადების შესახებ შეტყობინების გამოქვეყნების გარეშე.

როგორც ზემოთ აღინიშნა, პრეზიდენტის შესაბამისი დადგენილება ადგენს დადგენილების 208/2011 გამოყენების წესებს თავდაცვის სამინისტროს მიერ განხორციელებულ კონკრეტულ შესყიდვებთან მიმართებაში.

კერძოდ, დადგენილება განსაზღვრავს ისეთ შემთხვევებს, სადაც შესაძლებელია არ იქნას გამოყენებული ჩვეულებრივი შესყიდვების პროცედურა შესაძენი მომსახურების, საქონლის და მიწოდების ტიპიდან გამომდინარე იმ რაოდენობით, რომელიც არ აღემატება დირექტივით 2009/81/EC დადგენილ ზღვრულ ნორმებს.

³¹„შეზღუდული პროცედურა“ ნიშნავს პროცედურას, რომლის დროსაც ნებისმიერმა ეკონომიკური საქმიანობის სუბიექტმა შესაძლოა ითხოვოს მონაწილეობის მიღება, და რომლის საშუალებითაც ტენდერში მონაწილეობენ მხოლოდ ის ეკონომიკური საქმიანობის სუბიექტები, რომლებსაც მოიწვევს შემსყიდველი პირი.

³²„შეთანხმებული პროცედურა“ ნიშნავს პროცედურას, რომლის დროსაც შემსყიდველი პირი თავისი არჩევანის მიხედვით იწვევს ეკონომიკური საქმიანობის სუბიექტებს და ახორციელებს ხელშეკრულების პირობების მოლაპარაკებას ერთ ან რამდენიმე მათგანთან.

შესყიდვების პროცედურა შესაძლოა საერთოდ არ იქნას დაცული გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევებში, როდესაც ხდება მინიმუმ 80 000 ევროს ღირებულების საქონლის ან მომსახურების შეძენა.

სადაზვერვო საქმიანობასთან დაკავშირებით ხელშეკრულებების გაფორმება უნდა მოხდეს პრემიერ-მინისტრის ბრძანებით no. 8/2009³³ დადგენილი პროცედურის თანახმად. პროცედურა მოიცავს არაფორმალურ ტენდერს (მინიმუმ ხუთი მონაწილით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს არ აკმაყოფილებს ხელშეკრულების კონფიდენციალურობის მოთხოვნას ან აქ ჩამოთვლილ სხვა გარემოებებს, როგორცაა შემთხვევა, როდესაც შეუძლებელია სხვა მიმწოდებლის მოძიება კონკრეტული ტექნიკური მახასიათებლებიდან ან გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე, და ასევე ექსპერიმენტული აღჭურვილობის შესყიდვის შემთხვევა).

საბერძნეთში კონფიდენციალურ სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული ძირითადი რეგულაციები წარმოდგენილია კანონით no. 4412/2016, კანონით no. 3978/2011 და კანონით no. 3433/2006 „შეიარაღებული ძალებისთვის თავდაცვის აღჭურვილობის შესყიდვის შესახებ“.

ღირექტივის 2009/81/EC 25-ე მუხლის თანახმად, შემსყიდველ პირებზეა დამოკიდებული იმის განსაზღვრა, თუ რომელ პროცედურას გამოიყენებენ ხელშეკრულების გაფორმებისას; შესაბამისად, კანონის no. 3978/2011 38-ე მუხლის თანახმად, შემსყიდველმა პირებმა შესაძლოა არჩევანი შეაჩერონ შეზღუდული პროცედურის (39-ე მუხლი), ხელშეკრულებების დადების შესახებ შეტყობინების გამოქვეყნების თანხლებით შეთანხმებული პროცედურის (მე-40 მუხლი), კონკურენტული მოლაპარაკებების (41-ე მუხლი) ან ხელშეკრულებების დადების შესახებ შეტყობინების გამოუქვეყნებლად შეთანხმებული პროცედურის (42-ე მუხლი) გამოყენებაზე.

³³ Decreto del Presidente del Consiglio dei Ministri n. 8/2009 ხელმისაწვდომია მისამართზე: <http://www.parlamento.it/documenti/repository/commissioni/bicamerale/COMITATO%20SICUREZZA/DPCM%2012%20GIUGNO%202009%20N.8.pdf>.

კონკურენტული მოლაპარაკებების შემთხვევაში აღსანიშნავია, რომ პროცესის ტექნიკურ და სხვა დეტალებთან დაკავშირებული საკითხები განისაზღვრება ეროვნული თავდაცვის მინისტრის გადაწყვეტილებით. ხელშეკრულებების დადების შესახებ შეტყობინების გამოუქვეყნებლად შეთანხმებული პროცედურის შემთხვევაში (42-ე მუხლი), ხდება შესაბამისი ეროვნული კანონმდებლობის (დირექტივის 2009/81/EC 28-ე მუხლის ეროვნულ კანონმდებლობაში ზუსტი გადმოტანით) გამოყენება, ე.ი. გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევებში, რომლებიც გამოწვეულია მოულოდნელი გარემოებებით ან კრიზისით.

შეთანხმებული პროცედურა წინასწარი საჯარო შეტყობინების გარეშე (კანონის no. 3978/2011 73-ე მუხლი) გამოიყენება შემდეგთან მიმართებაში: (i) თავდაცვისა და უსაფრთხოების სექტორებში სამეცნიერო კვლევის პროგრამები, იმ პროდუქტების შესყიდვა, რომლებიც იწარმოება ექსკლუზიურად სამეცნიერო კვლევის მიზნებისთვის, ან (ii) ტექნოლოგიური სამუშაოები.

იმისთვის, რომ ეროვნული თავდაცვის სამინისტრომ ან კომპეტენტურმა სახელმწიფო მდივანმა მიიღოს გადაწყვეტილება იმასთან დაკავშირებით, სრულდება თუ არა შეთანხმებული პროცედურის გამოყენების პირობები, იქმნება თავდაცვის სფეროში შესყიდვების უზენაესი საბჭო, რომელიც თავისი უფლებამოსილების ფარგლებში ამზადებს დასკვნას შემსყიდველი პირის თხოვნის საფუძველზე (კანონის no. 3433/2006 50-ე მუხლი).

ზემოთ აღწერილი პროცედურა გამოირჩევა შემდეგი სპეციფიკით: თუ შესყიდვა ხორციელდება (i) ქვეყნის ფარგლებში, შეიარაღებული ძალების კომპეტენტური ორგანო ითხოვს შეთავაზების წარმოდგენას, სადაც მითითებული უნდა იყოს ფასი, მიწოდების გრაფიკი, მიწოდების მეთოდები და ნებისმიერი სხვა ინფორმაცია, რომელიც შესაძლოა მოითხოვოს ამ ორგანომ; თუ შესყიდვა ხორციელდება (ii) ქვეყნის ფარგლებს გარეთ და მიმწოდებლები/მწარმოებლები ასევე განთავსებული არიან ქვეყნის ფარგლებს გარეთ, შეთავაზებაში მითითებული უნდა იყოს პროდუქტის

აღწერილობა, ფასი, მესამე მხარეთა მომსახურების ღირებულება, მიწოდების გრაფიკი და დაზღვევის ღირებულება.

შესყიდვის დამტკიცების შემდეგ კანდიდატი იღებს ყველა დოკუმენტს შეთავაზების წარსადგენად ისე, რომ შესაძლებელი იყოს მოლაპარაკებების პროცედურის დაწყება, რის შემდეგაც ხდება გამარჯვებულის გამოვლენა და ხელშეკრულების დადება; აუცილებლობის შემთხვევაში, სახელმწიფო შესყიდვების პროცედურაში გამოყენებული ხელშეკრულების პირობები კორექტირდება ამ კონკრეტული პროცედურის საჭიროებებისა და მიხედვით.

ცხადია, ქვეყნების უმეტესობამ მოახდინა „თავდაცვის დირექტივით“ გათვალისწინებული ახალი კონკრეტული წესების იმპლემენტაცია, თუმცა, ზემოთ აღწერილი მაგალითებიდან ჩანს, რომ სხვადასხვა შესყიდვის პროცედურებისთვის ქვეყნები იწყებენ სხვადასხვა შერჩევის პროცესებს. ახალი წესები (რომლებიც მიღებულ იქნა წევრი სახელმწიფოების უმრავლესობის მიერ) უფრო მოქნილია, ვიდრე, მაგალითად, ტენდერის შემდგომი მოლაპარაკებები. ეს წესები ითვალისწინებს უკეთეს მექანიზმებს გასაიდუმლოებული ინფორმაციის დასაცავად ხელშეკრულების გაფორმებისა და შესრულების დროს, და იძლევა მიმწოდებლების მიერ მიწოდების უსაფრთხოების მოთხოვნების დაკმაყოფილების შესაძლებლობების უკეთ შეფასების საშუალებას³⁴.

IV. მოქმედების სფერო

შესყიდვის ობიექტების ძირითადი ჩამონათვალი, რომელზედაც არ ვრცელდება დადგენილებით 208/2011 გათვალისწინებული პროცედურა, განისაზღვრება ევროკავშირის საბჭოს 1958 წლის გადაწყვეტილებით no. 255.

³⁴ცნობიერების ამაღლების სახელმწიფო ოფიციალური გზამკვლევი, ხელმისაწვდომია მისამართზე: http://www.gov.uk/government/uploads/system/uploads/attachment_data/file/35925/dsd_govt_awareness_guide.pdf.

გარდა ამისა, როგორც ზემოთ აღინიშნა, იტალიის პრემიერ-მინისტრის ბრძანების 208/2011 მე-6 მუხლის თანახმად, ხელშეკრულებებზე არ ვრცელდება განსაზღვრული კონკრეტული პროცედურები, თუ ისინი დაკავშირებულია:

- 1) სადაზღვევო საქმიანობასთან.
- 2) შესყიდვები, რომლებიც მასთან დაკავშირებული ინფორმაციის კონფიდენციალურობიდან გამომდინარე, უნდა იქნას გასაიდუმლოებული კონკრეტული გადაწყვეტილების თანახმად, რომლითაც შესყიდვები გამოცხადდება კონფიდენციალურად.

ხელშეკრულებები, რომლებიც მიეკუთვნება ზემოთ ხსენებულ კატეგორიას, განსაზღვრება იტალიის კანონით no. 124/2007

„სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“³⁵. ამ კანონში აღწერილია კონფიდენციალურობის სხვადასხვა დონე (42-ე მუხლი) და განსაზღვრულია ინფორმაციისთვის, აქტებისთვის, საქმიანობისთვის და დოკუმენტებისთვის კონფიდენციალურის სტატუსის მინიჭების პროცედურები.

გარდა ამისა, ეს კანონი შეიცავს რეგულაციებს, რომლებიც ვრცელდება საიდუმლო სამსახურებასა და დაზვერვაზე (სადაზვერვო სისტემა რესპუბლიკის უსაფრთხოებისთვის). პრაქტიკულად ყველაფერი, რასაც მინიჭებული აქვს კონფიდენციალურის სტატუსი კანონით no. 124/2007 რეგულირებადი პროცედურების დაცვით, შესაძლოა ნებისმიერ დროს მოხვდეს ზემოთ ხსენებულ საიდუმლო სამსახურებთან და დაზვერვასთან დაკავშირებულ კატეგორიებში (მაგალითად, ახალი სამხედრო ბაზის სამშენებლო სამუშაოები).

გარდა ამისა, იმ ხელშეკრულებების ჩამონათვალი, რომლებიც რეგულირდება დადგენილებით 208/2011, ითვალისწინებს არა მხოლოდ სამხედრო ან სენსიტიურ აღჭურვილობასთან დაკავშირებულ გარიგებებს, არამედ ასევე ხელშეკრულებებს ე.წ. „ორმხრივი გამოყენების“ აღჭურვილობასთან დაკავშირებით, რომელიც

³⁵იტალიის კანონი no. 124/2007 „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“, ხელმისაწვდომია მისამართზე: <https://www.sicurezzanazionale.gov.it/sisr.nsf/documentazione/normativa-di-riferimento/legge-124-2007.html>.

თავდაპირველად შექმნილია სამოქალაქო მიზნებისთვის, მაგრამ შესაძლოა მორგებული იქნას სამხედრო მიზნებისთვისაც.

საბერძნეთის კანონის no. 3978/2011 მე-17 მუხლი მკაფიოდ განსაზღვრავს მისი მოქმედების სფეროს და შესყიდვებთან დაკავშირებულ იმ ხელშეკრულებების ჩამონათვალს, რომლებიც შესაძლოა ჩაითვალოს „გასაიდუმლოებულად“:

a) ხელშეკრულები, რომლებიც ექვემდებარება გარკვეულ საპროცესო ნორმებს და ევროკავშირის წევრი და არაწევრი სახელმწიფოების სამხედრო ჯარებისა და მისიების ადგილმდებარეობასთან დაკავშირებით ევროკავშირის წევრ და არაწევრ სახელმწიფოებს შორის გაფორმებულ საერთაშორისო ხელშეკრულებებს;

b) ხელშეკრულებები, რომლებიც უკავშირდება ორ ქვეყანას შორის სამხედრო თუ სენსიტიური აღჭურვილობის, სამუშაოების და მომსახურების აღნიშნული მიზნით შესყიდვებს;

c) ხელშეკრულებები, რომლებზეც ვრცელდება საერთაშორისო ორგანიზაციის გარკვეული საპროცესო ნორმები, რომელიც თავისი სახელით ახორციელებს შესყიდვებს, ან ხელშეკრულები, რომლებიც უნდა გააფორმოს ევროკავშირის წევრმა სახელმწიფომ ამ ნორმების თანახმად;

d) ხელშეკრულებები, რომლებიც დაავალდებულებდა საბერძნეთს გაემჟღავნებინა ინფორმაცია, რაც იქნებოდა ქვეყნის უსაფრთხოების ინტერესების დაცვის მიზნების საწინააღმდეგო;

e) ხელშეკრულები, რომლებიც იდება მთავრობის მიერ სხვა პირებთან შემდეგ საკითხებზე: სამხედრო ან სენსიტიური აღჭურვილობის, სამუშაოების და მომსახურების შესყიდვა, რაც უშუალოდაა დაკავშირებული ასეთ აღჭურვილობასთან, სამუშაოებთან და მომსახურებასთან, განსაკუთრებით სამხედრო ან სენსიტიური სამუშაოებისა და მომსახურების მიზნებისთვის, და ხელშეკრულებები სხვა მომსახურებასთან დაკავშირებით.

კანონის no. 3433/2006 51-ე მუხლის თანახმად, გამოიყენება „კონკრეტული საკონკურსო პროცედურა“, როდესაც სახელმწიფო შესყიდვები დაკავშირებულია შემდეგთან:

a) მოულოდნელი ვითარებით/ფაქტებით გამოწვეული გადაუდებელი აუცილებლობა, რომელიც არ იყო მოსალოდნელი და გათვალისწინებული შესყიდვების გრაფიკით³⁶;

b) შესყიდვა, რომელიც, მისი ხასიათიდან გამომდინარე, ითხოვს ქმედების გასაიდუმლოებას, სახელმწიფო კონფიდენციალურობის დაცვას, ან რომელსაც თან ახლავს უსაფრთხოების განსაკუთრებული ზომები, უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებით სახელმწიფოს არსებითი ინტერესების დაცვის მიზნით, და მინიჭებული აქვს კონფიდენციალურის სტატუსი;

c) მასალა, რომლის წარმოებაც ხდება გამოკვლევების, ექსპერიმენტების და სხვა მიზნებით საბერძნეთში ან მის ფარგლებს გარეთ თავდაცვითი მასალის თანაწარმოებისთვის, და შეიარაღებული ძალების ტექნოლოგიური განვითარებისთვის განკუთვნილი ობიექტების შესაქმნელად, რომელთა შეთავაზებაც ხდება კონკურენტულ ფასად და რომლებიც არ იწარმოება საბერძნეთში;

d) გადაწყვეტილების მიღება იმასთან დაკავშირებით, რომ მიმწოდებლები იქნებიან საჯარო ან კერძო სექტორის წარმომადგენელი იურიდიული პირები, რომელთა სააქციო კაპიტალში სახელმწიფო ფლობს აქციათა 50%-ზე მეტს;

ბრიტანეთში მოქმედ რეგულაციებთან მიმართებაში, ახალი შესწორებები მოიცავს თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროებში გაფორმებულ მხოლოდ კონკრეტულ ხელშეკრულებებს შემდეგის შესყიდვის მიზნით:

³⁶ამ სახის პროცედურები ხშირად გამოიყენებოდა 2016 წლის განმავლობაში, თუ გავითვალისწინებთ ლტოლვილების შედინებას, როდესაც ქვეყანას სასწრაფოდ უნდა მოეხდინა იმ პირების განთავსება და მათთვის თავშესაფრის მიცემა, რომლებმაც გადაკვეთეს საზღვრები.

(ა) სამხედრო აღჭურვილობა და მასთან დაკავშირებული საქონელი, მომსახურება და სამუშაოები; და

(ბ) უსაფრთხოების სენსიტიური აღჭურვილობა და მასთან დაკავშირებული საქონელი, მომსახურება და სამუშაოები (ე.ი. როდესაც ხელშეკრულება მოიცავს, გულისხმობს ან ითხოვს ინფორმაციას, რომელიც არის გასაიდუმლოებული ეროვნული უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე).

მიუხედავად იმისა, რომ ამ კანონების მოქმედების სფეროში სხვადასხვა ქვეყანას მოქცეული აქვს ოდნავ განსხვავებული ხელშეკრულებები და ობიექტები, წევრი სახელმწიფოების უმეტესობა იყენებს იმ ობიექტთა ჩამონათვალს, რომელიც შესაბამისობაშია „თავდაცვის დირექტივასთან“. ზოგადი წარმოდგენის შესაქმნელად უნდა აღინიშნოს, რომ ქვეყნების კანონმდებლობა ამ კუთხით შედარებით მსგავსია, თუმცა, გამონაკლისები და დადგენილი წესებიდან გამონაკლისების დაშვების გზები სხვადასხვაგვარად რეგულირდება განხილულ ქვეყნებში.

V. გამჭვირვალობა და კორუფციის პრევენციის მექანიზმები

2016 წელს (რომელიც წარმოადგენდა „თავდაცვის დირექტივის“ ეროვნულ კანონმდებლობაში გადმოტანის ვადას) განხორციელებულ რეფორმამდე „იტალიის სახელმწიფო ანტიკორუფციულ უწყებას“ ჰქონდა კონფიდენციალურად მიჩნეულ ხელშეკრულებებზე წვდომისა და მათი შეფასების, და ასევე სახელმწიფო შესყიდვების წესების მოქმედების სფეროდან ასეთი ხელშეკრულებების გამორიცხვის უფლებამოსილება.

თუმცა, გაუგებარია, აქვს თუ არა უწყებას ისევ ეს უფლებამოსილება, რადგან 2016 წელს დამტკიცებული „შესყიდვების კოდექსით“ არ იკვეთება კონფიდენციალური ხელშეკრულებები და ამ უწყების უფლებამოსილება.

თუმცა, თავდაცვასთან დაკავშირებული ხელშეკრულებების შემთხვევაში შეიქმნა Corte dei Conti-ის [აუდიტორთა სასამართლო]³⁷ სპეციალური განყოფილება ამ სფეროში შესყიდვების ზედამხედველობისა და შემოწმების მიზნით.

Corte dei Conti კონტროლს ახორციელებს კონფიდენციალური ხელშეკრულების გაფორმებამდე და მათი შესრულების პროცესში. აღნიშნული წარმოადგენს მნიშვნელოვან წინ გადადგმულ ნაბიჯს კონფიდენციალურობასთან და საიდუმლო შესყიდვებთან დაკავშირებული დისციპლინარული გადაცდომის პრევენციის მიზნით, იმის გათვალისწინებით, რომ 2016 წლის რეფორმამდე Corte dei Conti-ს ჰქონდა კონფიდენციალურ ხელშეკრულებებზე წვდომა მხოლოდ მათი დამტკიცებისა და შესრულების შემდეგ.

სახელმწიფო საიდუმლოების ფარგლებში მოქცეული ხელშეკრულებებისა და აქტების დამატებითი კონტროლის უფლებამოსილება გააჩნია „იტალიის პარლამენტის წევრებისგან შემდგარ სპეციალურ კომიტეტს“ (COPASIR)³⁸. ამ კომიტეტს უფლება აქვს მიიღოს ინფორმაცია მინისტრთა საბჭოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე, რომელთა საშუალებითაც ხდება დოკუმენტების, აქტებისა და ხელშეკრულებების სახელმწიფო საიდუმლოების სტატუსის გახანგრძლივება.

³⁷იტალიის უწყება Corte dei Conti არის ინსტიტუტი, რომლის მიზანსაც წარმოადგენს სახელმწიფო ფინანსების დაცვა და მის იურისდიქციაში მოქცეული სისტემის პატივისცემის გარანტიების უზრუნველყოფა. აღნიშნული ორი მიზნის მიღწევას Corte dei Conti უზრუნველყოფს შემდეგი ფუნქციების შესრულების გზით: აუდიტის ფუნქცია და იურისდიქციული ფუნქცია. იტალიის კონსტიტუციის მე-100 მუხლის თანახმად, Corte dei conti პასუხისმგებელია სახელმწიფო აქტების კანონიერების „აპრიორული“ აუდიტის ჩატარებაზე და ასევე სახელმწიფო ბიუჯეტის მართვის „აპოსტერიორული“ აუდიტის ჩატარებაზე. ხელმისაწვდომია მისამართზე: http://www.corteconti.it/english_corner/about_us/the_role_italian_corte_conti/.

³⁸„იტალიის პარლამენტის წევრებისგან შემდგარ სპეციალურ კომიტეტთან“ დაკავშირებით დამატებითი ინფორმაცია ხელმისაწვდომია მისამართზე: <https://www.sicurezzanazionale.gov.it/sisr.nsf/cosa-facciamo/i-controlli/il-controllo-parlamentare.html>.

გარდა ამისა, „იტალიის პარლამენტის წევრებისგან შემდგარ სპეციალურ კომიტეტს“ უფლება აქვს მიიღოს სადაზვერვო საქმიანობის დანახარჯებთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია. ყოველ წელს „იტალიის პარლამენტის წევრებისგან შემდგარი სპეციალური კომიტეტი“ პარლამენტს წარუდგენს მის მიერ განხორციელებული ზედამხედველობის ანგარიშს.

„საჯარო სექტორში შესყიდვის ხელშეკრულებების შესახებ კანონის“ 29-ე მუხლის თანახმად, ზედამხედველობის ფუნქციის დაუბრკოლებლად შესრულების უზრუნველსაყოფად, „აუდიტორთა სასამართლოს“ (*Tribunal de Cuentas*) უნდა გაეგზავნოს იმ დოკუმენტის დამოწმებული ასლი, რომლითაც მოხდა ხელშეკრულების გაფორმება, შესაბამისი ფაილის ამონაწერთან ერთად, ხელშეკრულების გაფორმებიდან სამი თვის ვადაში. ეს ვალდებულება ვრცელდება მხოლოდ იმ ხელშეკრულებებზე, რომელთა ღირებულება აღემატება შემდეგს: სამუშაოების შესრულების შესახებ ხელშეკრულების შემთხვევაში - 600 000 ევროს, მიწოდების ხელშეკრულების შემთხვევაში - 450 000 ევროს, ხოლო მომსახურების ხელშეკრულებისა და განსაკუთრებული ადმინისტრაციული ხელშეკრულების შემთხვევაში - 150 000 ევროს. გარდა ამისა, „საჯარო სექტორში შესყიდვის ხელშეკრულებების შესახებ კანონის“ 30-ე მუხლის თანახმად, იგივე ვადაში შემსყიდველი პირი „ადმინისტრაციული ხელშეკრულებების დადების საკონსულტაციო კომიტეტს“ (*Junta Consultiva de Contratación Administrativa del Estado*) გაუგზავნის ინფორმაციას მის მიერ გაფორმებული ხელშეკრულებების შესახებ.

გარდა ამისა, „თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროებში სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებების შესახებ კანონის“ 67-ე მუხლის თანახმად, შემსყიდველი პირის მიერ „თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროებში სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებების შესახებ კანონის“ მიხედვით სამუშაოს შესრულების, მიწოდების ან მომსახურების ხელშეკრულების გაფორმებიდან 3 თვის ვადაში, შემსყიდველმა პირმა „ადმინისტრაციული ხელშეკრულებების დადების

საკონსულტაციო კომიტეტს“ (*Junta Consultiva de Contratación Administrativa del Estado*) უნდა გაუგზავნოს ინფორმაცია მის მიერ გაფორმებული ხელშეკრულებების შესახებ.

აგრეთვე, „თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროებში სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებების შესახებ კანონის“ N 8 დამატებითი დებულების თანახმად, შემსყიდველმა პირმა, „ადმინისტრაციული ხელშეკრულებების დადების საკონსულტაციო კომიტეტმა“ (*Junta Consultiva de Contratación Administrativa del Estado*) და იმ ერთეულებმა, რომელთაც უფლება აქვთ მიიღონ გადაწყვეტილება ხელშეკრულების გაფორმების სფეროში კონკრეტული მოქმედების განხორციელებასთან დაკავშირებით (*recurso especial en materia de contratación*), უნდა აცნობონ „სახელმწიფო საკონკურსო კომისიას“ (*Comisión Nacional de la Competencia*) მათთვის ცნობილი ნებისმიერი ფაქტის შესახებ, რომელიც შესაძლოა წარმოადგენდეს კონკურსის დაცვის შესახებ კანონმდებლობის დარღვევას, განსაკუთრებით შეთანხმების, გადაწყვეტილების ან ერთობლივი რეკომენდაციის, ან ტენდერის მონაწილეთა შორის შეთანხმებული ნებისმიერი პრაქტიკის მითითებით, რაც ზეგავლენას ახდენს ან რომელმაც შესაძლოა მოახდინოს ზეგავლენა სამართლიან კონკურენციაზე ხელშეკრულების გაფორმების პროცესში.

პასუხისმგებლობის საკითხზე მითითებით, „საჯარო სექტორში შესყიდვის ხელშეკრულებების შესახებ კანონის“ N 19 დამატებითი დებულების თანახმად, სახელმწიფო ხელისუფლების უწყებებისა და პერსონალის ძირითადი პასუხისმგებლობა, რომელიც გამომდინარეობს სახელმწიფო ხელშეკრულებების გაფორმებასთან დაკავშირებული მათი ქმედებებიდან, რაც ზიანს აყენებს კერძო პირებსა და თვითონ ხელისუფლებას, რეგულირდება კანონით 30/1992 და სამეფო დადგენილებით 429/1993 განსაზღვრული ზოგადი წესებით.

საბერძნეთის პარლამენტმა შემოიღო კონკრეტული დებულებები³⁹ კანონში no. 3978/2011, საიდუმლო სახელმწიფო შესყიდვების კუთხით გამჭვირვალობის უზრუნველყოფის/გადლიერების და კორუფციის შეზღუდვის მიზნით⁴⁰.

ამ კანონის მე-8 მუხლით გათვალისწინებულია მკაცრი რეგულაციები ამ მიზნის გასამყარებლად. ეროვნული თავდაცვის სამინისტროს სამხედრო და პოლიტიკურ პერსონალს თავისი მოვალეობების შესრულებისას ეკრძალება იმ კანდიდატების კანონიერ წარმომადგენლებთან კომუნიკაცია, რომლებიც მონაწილეობას იღებენ შესყიდვების ტენდერებში ან მოლაპარაკების პროცედურებში სახელმწიფო ხელშეკრულებების გაფორმების მიზნით (1-ლი პუნქტი).

თითოეული ცალკეული ხელშეკრულების გაფორმების შემთხვევაში აღნიშნულის შესახებ უნდა ეცნობოს შესაბამისი უწყების ან საერთო დეპარტამენტის უფროსს მას შემდეგ, რაც მოხდება ცნობის შედგენა და შენახვა თითოეული კანდიდატის საქმეში (მე-2 პუნქტი).

ქრთამისა და კორუფციის აკრძალვის კუთხით, სამხედრო და პოლიტიკურ პერსონალს, რომელთაც ეროვნული თავდაცვის სამინისტროსთან აკავშირებთ ნებისმიერი ფორმის შრომითი ურთიერთობა, უფლება არ აქვთ ითხოვონ ან მიიღონ, პირდაპირ ან ირიბად, რაიმე სახის სარგებელი ან შემოწირულობა მათი მოვალეობების შესრულებისას, მაშინაც კი, თუ მათი ქმედება არ წარმოადგენს დანაშაულს (მე-3 პუნქტი).

მე-9 მუხლის მიხედვით, იმ პროცედურის მიუხედავად, რომელშიც ისინი მონაწილეობას იღებენ, მათ ეკრძალებათ შუამავალი ორგანიზაციის, შუამავალი პირის ან ბროკერის ჩართვა შესყიდვების პროცედურების გაფორმებისას და განხორციელებისას (1-ლი პუნქტი). თუმცა, არ არსებობს მკაფიო შეზღუდვა

³⁹ ცვლილებები, რომლების შესულობა კანონით 3978/2011 თავდაცვის სფეროში შესყიდვების შესახებ, Taxlaw Iason Skouzos + Partners, იურიდიული კომპანია, ხელმისაწვდომია მისამართზე: <http://www.taxlaw.gr/en/idika-themata/232-defense-procurements>.

⁴⁰კანონის 3978/2011 მე-17 მუხლი, „გამონაკლისები“.

„მომსახურებისთვის აგენტების ან წარმომადგენლების გამოყენებასთან დაკავშირებით შესყიდვების პროცედურების დაწყებამდე“⁴¹. კანდიდატებს შეუძლიათ მიიღონ პროფესიული საკონსულტაციო მომსახურება მხოლოდ იურიდიული კომპანიებისგან, საგადასახადო, ტექნიკური და ფინანსური კონსულტანტებისგან (მე-2 პუნქტი). გარდა ამისა, მათ ეკრძალებათ ოფშორული კომპანიების⁴² ან მსგავსი ეკონომიკური საწარმოების გამოყენება ხელშეკრულების საგანთან დაკავშირებით ქვე-კონტრაქტორების ან საქონლის ან მომსახურების მიმწოდებელი პირების სახით (მე-3 პუნქტი). აღნიშნულთან დაკავშირებით კანდიდატები ვალდებული არიან მიაწოდონ შემსყიდველ პირებს შესაბამისი ინფორმაცია მათ ქვე-კონტრაქტორებთან, მიმწოდებლებთან ან კონსულტანტებთან დაკავშირებით (მე-4 პუნქტი).

გარდა ამისა, კანონის 3978/2011 მე-10 მუხლის თანახმად, ყველა კანდიდატი ან მათი კანონიერი წარმომადგენელი, რომელიც მონაწილეობს ხელშეკრულების გაფორმებისა და განხორციელების პროცედურაში, ვალდებულია „მავალდებულებელი წესით განაცხადოს“⁴³, რომ ხელშეკრულების გაფორმებამდე ყველა ეტაპზე ის არ იმოქმედებს უკანონო ან მართლსაწინააღმდეგო ფორმით, ან არ მოახდენს უფლებათა ბოროტად გამოყენებას და ასევე არ მოიქცევა ამგვარად არც ხელშეკრულების შესრულების პროცესში და არც მისი დასრულების შემდეგ.

⁴¹ საბერძნეთი: კანონი No. 3978/2011 „თავდაცვის სფეროში შესყიდვების შესახებ“, მუხლი მომზადებულია კომპანიების Ballas and Pelekanos Associates, Mondaq Connecting knowledge and people მიერ, ხელმისაწვდომია მისამართზე: <http://www.mondaq.com/x/242372/Government+Contracts+Procurement+PPP/DEFENSE+PROCUREMENTS+Law+No+39782011>.

⁴²კანონის 3978/2011 გათვალისწინებით „ოფშორული კომპანიები“ განიმარტება „საშემოსავლო გადასახადის კოდექსით“, კანონით 2238/1994, და ჩანს, რომ ამ მუხლის მიზანია ტრანსფერული ფასწარმოქმნისა და ფასის ზედმეტად მომატების, ასევე ქრთამის სახით განხორციელებული გადახდების ან სხვა უკანონო გადახდების აღკვეთა, რაც შესაძლოა განხორციელებულიყო აღნიშნული ოფშორული კომპანიების მიერ.

⁴³იხ. სქოლიო 39.

სახელმწიფო შესყიდვებში და, ზოგადად, სახელმწიფო ტენდერებში გამჭვირვალობის ხელშეწყობის მიზნით, კანონის no. 4013/2011 საფუძველზე შეიქმნა „სახელმწიფო ხელშეკრულებების ერთიანი დამოუკიდებელი უწყება“⁴⁴. აღნიშნული უწყება ახორციელებს შემსყიდველი პირების ზედამხედველობას, ხელს უწყობს ეროვნულ სტრატეგიებს სახელმწიფო ტენდერების კუთხით და ახორციელებს სახელმწიფო ხელშეკრულებებზე ეროვნული და ევროპის კანონმდებლობის გამოყენების ზედამხედველობას, და გამოსცემს დასკვნებს სახელმწიფო ტენდერების შესახებ მარეგულირებელი აქტების ან კანონპროექტების კანონიერების შესახებ. გარდა ამისა, სახელმწიფო ხელშეკრულებების ცენტრალური ელექტრონული რეესტრი, რომელიც შეიქმნა კანონის no. 4013/2011 საფუძველზე, ახდენს ყველა სახელმწიფო ხელშეკრულების დამუშავებასა და გამოქვეყნებას.

თუმცა, ყველა სახელმწიფო ინფორმაცია ან შესყიდვის ხელშეკრულება, რომელიც არის გასაიდუმლოებული ან კონფიდენციალური, არ არის საჯაროდ ხელმისაწვდომი, რადგან მათზე ვრცელდება „ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების“ 346-ე მუხლის მოქმედება. სახელმწიფო ხელშეკრულებების შემთხვევაში, რომლებზედაც ვრცელდება კანონის no. 3433/2006 მოქმედება და რომლებიც არის გასაიდუმლოებული ან კონფიდენციალური ან მოითხოვს საიდუმლოს სტატუსის შენარჩუნებას, მათ შესრულებამდე ამ ხელშეკრულებების კანონიერების კონტროლი ხორციელდება „აუდიტორთა სასამართლოს“ უფლებამოსილი დეპარტამენტის მიერ. პროცედურის დასრულების შემდეგ, დოკუმენტები უბრუნდება შემსყიდველს პირს.

⁴⁴აღნიშნული სახელმწიფო ორგანოს შესახებ დამატებითი ინფორმაცია ხელმისაწვდომია მისამართზე: <http://www.eaadhsy.gr/index.php/m-poi-i-eimaste>.

VI. პრაქტიკის მიმოხილვა

იტალიაში საიდუმლო სახელმწიფო შესყიდვების მიმოხილვის მიზნით, მითითება უნდა გაკეთდეს ანგარიშზე, რომელიც გამოქვეყნდა Corte dei Conti-ს მიერ, რომელიც ხელმძღვანელობს სახელმწიფო დანახარჯების ზედამხედველობის პროცესს და რომელსაც აქვს კონფიდენციალურ ხელშეკრულებებზე წვდომის უფლება.

მიუხედავად ამისა, ეს მონაცემები უკავშირდება 2006 წელს დამტკიცებულ, აწ უკვე ძალადაკარგულ კანონმდებლობას, რომლის თანახმადაც Corte dei Conti-ს ჰქონდა გამოკვლევის უფლებამოსილება მხოლოდ კონფიდენციალური ხელშეკრულებების გაფორმებისა და შესრულების შემდეგ (ამჟამად, ახალი "შესყიდვების კოდექსის" თანახმად, Corte dei Conti-ს უფლება აქვს არ დაამტკიცოს განხილვის პროცესში მყოფი კონფიდენციალური ხელშეკრულება არაკანონიერების მოტივით; აქედან გამომდინარე, საიდუმლო სახელმწიფო შესყიდვების პროგნოზირებული რაოდენობა 2016 წლისთვის უნდა იყოს მნიშვნელოვნად ნაკლები ქვემოთ მოცემულ რაოდენობებთან შედარებით).

კონფიდენციალურ და საიდუმლო ხელშეკრულებთან დაკავშირებული ბოლო ანგარიშის თანახმად, რომელიც გამოქვეყნდა 2015 წელს⁴⁵, 2014 წლის განმავლობაში სახელმწიფო ორგანოების მიერ საიდუმლო შესყიდვებისთვის მთლიანად გადახდილი თანხის რაოდენობამ შეადგინა:

- დაახლოებით 40 მილიონი ევრო სამუშაოებისა და მშენებლობისთვის, რაც უდრის ანალოგიური შესყიდვებისთვის იტალიის მთლიანი სახელმწიფო ხარჯების 0.89%-ს;

⁴⁵Corte dei Conti, Deliberazione 18 novembre 2015, n. 11/2015/G. ხელმისაწვდომია მისამართზე: http://www.corteconti.it/export/sites/portalecdc/_documenti/controllo/sez_centrale_controllo_amm_stato/2015/delibera_11_2015.pdf.

- დაახლოებით 227 მილიონი ევრო მიწოდებისა და მომსახურებისთვის, რაც უდრის ანალოგიური შესყიდვებისთვის იტალიის მთლიანი სახელმწიფო ხარჯების 2.5%-ს.

შედეგებიდან ჩანს, რომ საიდუმლო შესყიდვები შეადგენს შესყიდვების მთლიანი დანახარჯის მცირე ნაწილს. სამწუხაროდ, ჩანს, რომ კორუფციის პრაქტიკა უფრო სერიოზულ ზეგავლენას ახდენს იმ სახელმწიფო შესყიდვებზე, სადაც დაცულია ჩვეულებრივი პროცედურა⁴⁶.

ესპანეთის პრაქტიკის ანალიზისას რთულია ზუსტად განისაზღვროს გასაიდუმლოებული სახელმწიფო შესყიდვების მოცულობა.

სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებით გამოქვეყნებული ინფორმაცია საშუალებას აძლევს საზოგადოებას იცოდეს ყოველი შემსყიდველი პირის მიერ გამოყენებული, კანონით დადგენილი, ხელშეკრულების გაფორმების პროცედურების რაოდენობა და პროცენტული მაჩვენებლები, მაგრამ ის არ იძლევა იმ კონკრეტული მიზნის ან მიზნების განსაზღვრის საშუალებას, რომლებიც იძლეოდა აღნიშნული პროცედურების გამოყენების უფლებას, და ასევე ის არ იძლევა იმის განსაზღვრის საშუალებას, თუ რომელი მათგანი შეადგენდა გამონაკლისს კონფიდენციალურობის კუთხით. ასევე, შეუძლებელია იმ პროცედურების რაოდენობის დადგენა, მთლიანი ან სეგრეგირებული ფორმით, როდესაც მოხდა საიდუმლოს სტატუსის მინიჭება, ან იმ ხელშეკრულებების დადგენა, რომელთა თანახმადაც მათი შესრულებისას საჭიროა უსაფრთხოების განსაკუთრებული ზომების მიღება ან რომლებიც დაკავშირებულია ქვეყნის უსაფრთხოების არსებითი ინტერესების დაცვასთან.

⁴⁶მაგალითისთვის იხილეთ „ევროკავშირის ანტი-კორუფციულ ანგარიშში“ მოცემული ევროპული კომისიის ანალიზი, COM (2014) 38: კომისიის ანგარიში საბჭოსა და ევროპარლამენტს, ევროკავშირის ანტი-კორუფციული ანგარიში, დანართი XXII. ხელმისაწვდომია მისამართზე: http://ec.europa.eu/dgs/home-affairs/what-we-do/policies/organized-crime-and-human-trafficking/corruption/anti-corruption-report/docs/2014_acr_italy_chapter_en.pdf.

ზემოთ ხსენებული ხელმისაწვდომი ინფორმაცია ქვეყნდება „აუდიტორთა სასამართლოს“ (*Tribunal de Cuentas*) მიერ, თავის ანგარიშში შემსყიდველი პირების ზედამხედველობის შესახებ, თითოეულ შემსყიდველ პირთან მიმართებაში⁴⁷. ეს ინფორმაცია ასევე ხელმისაწვდომია შესაბამისი შემსყიდველი პირის ყოველწლიურ მემუარებში, და კონსოლიდირებულია შესაბამისი სამინისტროს (*Ministerio*) მიერ, რომლის დაქვემდებარებაშიც შედის შემსყიდველი პირი⁴⁸. გარდა ამისა, ამ ინფორმაციის გასაჯაროება ხდება ასევე „ადმინისტრაციული ხელშეკრულებების დადების საკონსულტაციო კომიტეტის“ (*Junta Consultiva de Contratación Administrativa del Estado*) მიერ⁴⁹.

ევროპულმა კომისიამ 2016 წლის იანვარში გამოაქვეყნა ინფორმაცია⁵⁰, რომლის თანახმადაც 2013 წლის განმავლობაში მთლიანმა შესყიდვებმა შეადგინა 99 600 000 000 ევრო, რაც არის ესპანეთის მთლიანი მშპ-ს 10%-ის ეკვივალენტი. იმ წელს გამოყენებული შესყიდვების პროცედურების თანაფარდობა იყო შემდეგი: (1) ღია პროცედურა: 82%; (2) შეზღუდული პროცედურა: 2%; (3) შეთანხმებული პროცედურა

⁴⁷ზემოთ ხსენებული ანგარიშების მიმოხილვა ხელმისაწვდომია მისამართზე: <http://www.tcu.es/tribunal-de-cuentas/es/search/alfresco/index.html?entrance=FIS>

⁴⁸თავდაცვის სამინისტროს მიერ ყოველწლიურად გამოქვეყნებული ინფორმაცია ხელმისაწვდომია მისამართზე: <http://www.defensa.gob.es/defensa/estadisticas/>

⁴⁹ზემოთ ხსენებული ანგარიშების მიმოხილვა ხელმისაწვდომია მისამართზე: <http://www.minhap.gob.es/es-ES/Servicios/Contratacion/Junta%20Consultiva%20de%20Contratacion%20Administrativa/Paginas/BuscadorJCA.aspx>

⁵⁰ზემოთ ხსენებული ანგარიშების მიმოხილვა ხელმისაწვდომია მისამართზე: http://bookshop.europa.eu/en/stock-taking-of-administrative-capacity-systems-and-practices-across-the-eu-to-ensure-the-compliance-and-quality-of-public-procurement-involving-european-structural-and-investment-esi-funds-pbKN0116350/?pgid=GSPefJMEtXBSR0dT6jbGakZD0000SwWSHJea;sid=TA34rWqxHQ747TKu4xtmCgiU7s6E_W1iSt4=?CatalogCategoryID=yIMKABstfr0AAAEjypAY4e5L

შეტყობინების გამოქვეყნებით: 4%; (4) შეთანხმებული პროცედურა შეტყობინების გამოქვეყნების გარეშე: 10%; (5) კონკურენტული მოლაპარაკებების პროცედურა: 0%; (6) ხელშეკრულების პირდაპირი გაფორმების პროცედურა: 2%; და, (7) სხვა პროცედურები 0%.

ბოლო ექვსი წლის მანძილზე, კონფიდენციალურ სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული შემთხვევები და საბერძნეთის ეროვნული უსაფრთხოების სექტორში გაწეული დანახარჯების რაოდენობა იქცა განხილვების საგნად ეროვნული სასამართლოებისა და კონკურენტი უწყებების წინაშე.

ახლად შემოღებულ კანონმდებლობით no. 4412/2016, „სახელმწიფო ხელშეკრულებების ერთიანმა დამოუკიდებელმა უწყებამ“ გამოსცა მითითებების შემცველი დირექტივა no. 9/2015, რომელიც ადგენდა კორუფციის საწინააღმდეგო ღონისძიებებს და შეიცავდა რეკომენდაციას ახალი დირექტივების 2014/24/EU და 2014/25/EU ეროვნულ კანონმდებლობაში დროულად გადმოტანასთან დაკავშირებით.

გარდა ამისა, უწყებამ გამოაქვეყნა, რომ 2014 წლის განმავლობაში სახელმწიფო ხელშეკრულებებზე საბერძნეთის მთავრობის მიერ გაწეული დანახარჯები საერთო ჯამში შეადგენდა საბერძნეთის მშპ-ს 8.8%-ს.⁵¹ ბოლო პერიოდში გაწეული ყველაზე დიდი მოცულობის დანახარჯები (დაჩქარებული სახელმწიფო შესყიდვების პროცედურები, რომელთა ნაწილიც იყო გასაიდუმლოებული) დაკავშირებული იყო საბერძნეთის ტერიტორიაზე ლტოლვილების შედინებასთან.⁵²

⁵¹Diavgeia (Διάγεια), “დირექტივა 9/2015 მითითებების შესახებ, თემა: კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა სახელმწიფო შესყიდვების ტენდერების პროცედურების დროს“ სახელმწიფო შესყიდვების მაჩვენებლების თანახმად, 2011 წელი, ბრიუსელი, 2012 წლის 5 დეკემბერი, ხელმისაწვდომია მისამართზე: <https://diavgeia.gov.gr/doc/699%CE%A4%CE%9F%CE%9E%CE%A4%CE%92-%CE%9C%CE%A16?inline=true>.

⁵²ახალი კანონის no. 4412/2016 ძალაში შესვლამდე, რომლითაც გაუქმდა დირექტივები 2004/18/EU და 2004/17/EU საჯარო სამუშაოების, შესყიდვებისა და მომსახურების ხელშეკრულებებთან დაკავშირებით, ჩანს, რომ საბერძნეთის მთავრობამ გამოიყენა წინა

დასკვნები და რეკომენდაციები

ავტორის მიერ განხორციელდა ზემოთ ჩამოთვლილი ქვეყნების ეროვნულ კანონმდებლობათა და ევროკავშირის სამართალთან მისი კორელაციის ანალიზი. კვლევის ძირითადი საინტერესო შედეგები უკავშირდება კორუფციის პრევენციის მექანიზმებს და ევროკავშირის სამართლის ეროვნულ კანონმდებლობაში გადმოტანის გზებს. აღსანიშნავია, რომ ქვეყნების უმეტესობამ ზუსტად მოახდინა ევროკავშირის სამართლის თავიანთ ეროვნულ კანონმდებლობაში გადატანა. თუმცა, ქვეყნები იყენებენ ევროკავშირის დამფუძნებელი ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ მათ უფლებებს და ახდენენ ეროვნულ კანონმდებლობათა მოდიფიცირებას თავიანთი კულტურული შეუსაბამობების გათვალისწინებით.

იტალიის კანონმდებელთა „შემოწმებისა და გაწონასწორების“ მიდგომა გასაიდუმლოებულ სახელმწიფო შესყიდვებთან შესანიშნავია. პრინციპში, პარლამენტმა, მთავრობამ და პრეზიდენტმა შექმნეს რამდენიმე ორგანო, რომლებიც აკონტროლებენ სახელმწიფო შესყიდვების მიზანშეწონილობასა და კანონიერებას. კარგად აპრობირებული მეთოდი (სხვადასხვა ზღვრული ნორმების გათვალისწინებით) ითვალისწინებს კონკრეტული ხელშეკრულების შემოწმებას და დადასტურებას თავდაცვის სამინისტროს სამხედრო კომიტეტის მიერ, რის შემდეგაც ის შესაძლოა დაექვემდებაროს პარლამენტთან დაკავშირებული ორგანოს, „იტალიის პარლამენტის წევრებისგან შემდგარი სპეციალური კომიტეტის“, დამტკიცებას, ხოლო საბოლოოდ მეორე სპეციალურმა ორგანომ, Corte Dei Conti-მ, შესაძლოა შეაჩეროს ეს

საკანონმდებლო ჩარჩო და ამ უკანასკნელით გათვალისწინებული გამონაკლისები ღია სახელმწიფო შესყიდვების პროცედურებთან დაკავშირებით, ქვეყანაში ლტოლვილების შესვლაზე სწრაფი რეაგირებისა და მათი განთავსებისთვის ხელის შეწყობის მიზნით. TO POTAMI, «Προμήθεια που μισρίζει σκάνδαλο», 16.2.2016, ხელმისაწვდომია მისამართზე: <http://topotami.gr/promithia-pou-mirizi-skandalo/>.

ხელშეკრულება. საკმაოდ შთამბეჭდავია, თუ როგორაა დეცენტრალიზებული სახელმწიფო შესყიდვების სისტემა და თუ როგორაა ამ საქმეში ჩართული მთავრობის სხვადასხვა უწყებები.

იგივე ხდება ზემოთ განხილული ევროკავშირის სახელმწიფოების შემთხვევაშიდაც, რადგან ყველა მათგანს ჰყავს სპეციალური საბჭოები/კომიტეტები ან ორგანოები, რომლებიც მუშაობენ გასაიდუმლოებულ შესყიდვებზე და რომლებსაც აქვთ კონკრეტული ხელშეკრულებების შემოწმების, მონიტორინგის, დამტკიცებისა თუ შეჩერების უფლებამოსილება.

ზემოთ განხილულ ევროკავშირის ქვეყნების უმეტესობას აქვს ძალიან კომპლექსური და ვრცელი კანონმდებლობა, რომელიც უკავშირდება სახელმწიფო შესყიდვებს და, კერძოდ, თავდაცვასთან/უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ სახელმწიფო შესყიდვებს. თუმცა, მათ მიიღეს ბევრი შესწორება, რითაც მოხდა ზღვრული ნორმებისა და კანონმდებლობის გამოყენების მოქნილობის მოდიფიცირება. ბოლო პერიოდში იტალიასა და საბერძნეთს მოუწია ლტოლვილების შედინების საკითხების მოგვარება. არსებობდა ძალიან ბევრი გასაიდუმლოებული ხელშეკრულება, რომელსაც სასწრაფოდ საჭიროებდა გაფორმებასა და შესრულებას, აქედან გამომდინარე, ამ კუთხით ქვეყნები აღმოჩნდნენ სირთულეების წინაშე. ამგვარად, ბოლო პერიოდში კანონმდებლობაში შევიდა კორექტირებები და შესწორებები.

ეროვნული კანონმდებლობისა და პრაქტიკის ანალიზის შედეგად იქმნება ისეთი შთაბეჭდილება, რომ მთავრობები ცდილობენ შეძლებისდაგვარად ნაკლები გასაიდუმლოებული სახელმწიფო ხელშეკრულებების გაფორმებას. მაგალითად, იტალიაში კორუფციის ძირითადი შემთხვევები უკავშირდება ზოგად და არა საიდუმლო სახელმწიფო შესყიდვებს.

ალბათ მთავრობები აცნობიერებენ, რომ თუ მათი დანახარჯები გასაიდუმლოებულ ხელშეკრულებებთან დაკავშირებით იქნება მაღალი, ეს ძალიან შემამფოთებელი იქნება საზოგადოებისთვის.

ევროკავშირის სამართლის ანალიზისა და საქართველოს მოქმედ კანონმდებლობასთან მისი შედარების შედეგად, კვლევა გვთავაზობს შედარებით ახალი სფეროს შემუშავების კუთხით შემდეგ რეკომენდაციებს, რომელთა მიზანია შესაბამის სფეროებში არსებული ევროკავშირის დირექტივების საბოლოო ჰარმონიზაცია:

1. ბოლო პერიოდში მიღებული კანონქვემდებარე აქტით გამოიკვეთა ორი ძირითადი საკითხი: ის მოიცავს მხოლოდ თავდაცვასთან დაკავშირებული სახელმწიფო შესყიდვების საკითხებს და შედარებით მოკლე და ბუნდოვანი დოკუმენტია. სავარაუდოდ, მისი მიღება მოხდა პოლიტიკური მიზეზებით, თავდაცვის სამინისტროს მაღალი რანგის თანამდებობის პირების წინააღმდეგ არსებული მიმდინარე ცნობილი საქმეების გათვალისწინებით. აქედან გამომდინარე, შესაბამისმა ორგანოებმა უნდა განიხილონ მასში ვრცელი შესწორებების შეტანის ან ახალი კანონის/კანონქვემდებარე აქტის მიღების საკითხი, რომელსაც ექნება უფრო ფართო მოქმედების სფერო და დაარეგულირებს სახელმწიფო შესყიდვების ციკლის უმნიშვნელოვანეს დეტალებს.
2. გამჭვირვალობის მაღალ დონეზე უზრუნველყოფა მონაცემების/ინფორმაციის სათანადოდ გამოქვეყნებისა და კონკრეტული ორგანოების შექმნის გზით (თავდაცვის სამინისტროს ან/და ატნიტრასტული სააგენტოს ან/და სასამართლოების ან/და საქართველოს პარლამენტის ფარგლებში), რომელიც მონიტორინგს გაუწევს და დაამტკიცებს/შეაჩერებს გარკვეული ხელშეკრულებების გაფორმების პროცესს თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებით. ეს არის ერთ-ერთი არსებითი კომპონენტი გამჭვირვალე და ანგარიშვალდებული სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობის შესაქმნელად, საბოლოოდ რომელთა ჰარმონიზებაც მოხდება ევროკავშირის შესაბამის კანონმდებლობასთან.

3. იმ შესყიდვების მინიმუმამდე დაყვანა, რომლებიც არ შედის ელექტრონული შესყიდვების სისტემაში, და სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობით გათვალისწინებული გამონაკლისების სიის გადახედვა, კერძოდ სამომხმარებლო სექტორთან, რომელიც დაკავშირებულია სახელმწიფო საიდუმლოებასთან, და სახელმწიფოს საკუთრებაში არსებულ კომპანიებთან მიმართებაში.
4. ოფიციალურად მოხდეს მოლაპარაკებების დაწყება საქართველოს „მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის სახელმწიფო შესყიდვების შეთანხმებასთან“ მიერთებასთან დაკავშირებით, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ 1999 წლიდან საქართველოს აქვს დამკვირვებლის სტატუსი.⁵³ საბოლოოდ, ეს ასევე ხელს შეუწყობს წვდომას ევროკავშირის სახელმწიფო შესყიდვების უდიდეს ბაზარზე.

⁵³სახელმწიფო შესყიდვების შესახებ შეთანხმება, მხარეები, დამკვირვებლები და მიერთება შეთანხმებასთან, ხელმისაწვდომია მისამართზე: https://www.wto.org/english/docs_e/legal_e/rev-gpr-94_01_e.pdf.